


ԱՐԲ. ՃԱՆԱԳՅՈԼՈ

ԹՑՈՂՈՍԻՆ
ՑՐՑՎԱՐԿՈ
(ՀԵԶԽԵՐՈ)



ԹՑՈՂՈՍԻՆ ՑՐՑՎԱՐԿՈՆ ցամույթա

ԹՑՈՂՈՍԻՆ


1948

კულტურულ-საგანგანო თლებლო მუშაობის
განყოფილება

არჩ. ჯანაგავილი

თბილისის ზოოპარკი

(გეგმარი)



საქართველოს კულტურული მეცნიერებების
მიერ გადასახლები

მისამართი

1948

შინასითზვაობა

წინამდებარე მეგზური შედგენილი და გამოცე-
 მულია იმ მიზნით, რომ ზოოპარკის მნახველს რა-
 მოდენიმედ ხელი შეუწყოს და გაუადვილოს ცხო-
 ველების დათვალიერება და მოქლედ გააცნოს მა-
 თი გეოგრაფიული გავრცელება და ბიო-ეკოლო-
 გიის ზოგიერთი საკითხი, რომელთა დაწვრილებით
 გადმოცემის შესაძლებლობა შეზღუდულია წიგნის
 მოცულობის განსაზღვრულობის გამო.

ზოგი ცხოველის, რომელიც ამა თუ იმგვარად
 მნიშვნელოვანია თბილისის ზოოპარკისათვის, ბიო-
 ეკოლოგიური ცნობები გადმოცემულია შედარებით
 დაწვრილებით.

ზოოპარკის მეგზური საჭიროა გამოყენებულ
 იქნეს შემდეგ ნაირად. წიგნში მიცემული ცხოველე-
 ბი დანომრილია, ესვე ნომერი დართული აქვს
 ცხოველის სადგომსაც. ამიტომ ამა თუ იმ ცხოველ-
 ზე ცნობების მისაღებად საჭიროა წიგნში მოვნა-
 ხოთ ის ნომერი, რომელიც ცხოველთა სადგომშეა.
 ასე, მაგალითად, ქურციკის სადგომს, ეტიკეტის

მახლობლად, აქვს ნომერი 12, ამავე მნორით იგი/
ჩაწერილია მეგზურშიც.

საქართველო
სახლ-კულტურის
მინისტრი

ვისაც მოესურვება ზოოპარკის ცხოველების ირ-
გვლივ მეტი ცნობების მიღება, მას მივუთითებთ
იმ ლიტერატურის გაცნობას, რომელიც წიგნს აქვს
ბოლოში დართული; ამავე წიგნებიდან ავტორი
სარგებლობდა ამ მეგზურის შედგენისას.

ეჭვი არ გვეპარება, რომ წიგნს ნაკლი დაჰყვე-
ბა, რის შესახებ საქმიან მითითებებს ავტორი სია-
მოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს მათ მეგ-
ზურის შემდეგი გამოცემისას.

გარდა ამისა, ავტორი სიამოვნებითვე მიიღებს
ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენად მოემსახურა ეს
წიგნი ზოოპარკის მნახველს ცხოველების დათვალი-
ერებისას.

არჩ. ჯანაშვილი

1948 წ. ოქტომბერი
ქ. თბილისი

1. დაღისტნის ჯიხვი (Capra cylindricornis Blyth)

დაღისტნის ჯიხვი გავრცელებულია კავკასიონის მთავარ ქედზე დაწყებული მთა შხარაღან აღმოსავ-ლეთით.

საქართველოში საკმაოდ მრავლად მოიპოვება ლაგოდების, ყვარლის, ყაზბეგის რაიონებში, თუ-შეთში, სამხრეთ ოსეთში.

ვერტიკალურად იგი ვრცელდება ზღვის დონე-დან 3600 მეტრამდე.

ბინადრობს ალპურ ველებზე, ზამთრობით თავს აფარებს ტყის ზონის ზედა სარტყელს.

ზოოპარკის პირობებს ჯიხვი ადვილად იგუება და მრავლდება. ნერძვა მიმდინარეობს შემოდგომასა და ზამთარში. ჯიხვის მაკეობა 5 თვემდე გრძელდება, შობს, ჩვეულებრივად, ერთ ციკანს, იშვია-თად—ორს. ახლად დაბადებული ციკანი 0,5-1 საათის შემდეგ უკვე დასდევს დედას, ხოლო 2-3

დღის ასაკის ციქნის დაჭრა ადამიანს უჰმებულდება. სქესობრივ სიმწიფეს ნეზვი უკუდგები გვიპოვთ.



სურ. 1. დაღისტნის ჯიხვი

აღწევს 6-7 თვის ასაკში, ხოლო ვაკი 1,5 წლის ასაკში. ცოცხლობს ჯიხვი 15-16 წლამდე.

ჯიხვს აჯვარებენ შინაურ თხასთან, რის შედე-

გადაც მიიღება ჰიბრიდი ჯიხვთხა, რომელიც ზო-
მა-წონით გაცილებით სჭარბობს თავის მშობლებს:

ჯიხვი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ძვირფას
ენდემურ ფორმას, ამიტომაც იგი დაცულია ყველ-
გან და ყოველთვის.

ჯიხვი ძვირფასი სარეწაო-სანალირო ობიექ-
ტია. გამოიყენება მისი ხორცი, ტყავი და რქები.
უკანასკნელისაგან ამზადებენ სავარცხლებს, დანის
ტარებს, ყანწებს და სხვ.

2. ჯიხვთხა (*Capra cylindricornis* Blyth × *Capra hyrcus* L)

ჯიხვთხა წარმოადგენს დალისტნის ჯიხვისა (*Cap-
ra cylindricornis* Blyth) და შინაური თხის (*Cap-
ra hyrcus* L) ჰიბრიდს, რომელიც თბილისის ზოო-
პარკშია მიღებული.

ჯიხვისა და შინაური თხის ჰიბრიდიზაცია ტარ-
დება მაღალ პროდუქტოვანი შინაური თხის ახა-
ლი ჯიშის მისაღებად.

ჯიხვთხა სწრაფად იზრდება და მატულობს
ზომა-წონაში. ზოგი ზრდასრული ვაცი ჯიხვთხის (5-6
წლის ასაკში) წონა 125 კილოგრამამდე აღწევს.

ნერბვა მიმდინარეობს შემოღვომასა და ზამთარუ-
ში. შობს უმეტეს ნაწილად თითო ციკანს, ხოლო
ზოგჯერ ორ-ორს. სქესობრივ სიმწიფეს ნეზვი ჯიხვ-
თხა აღწევს 6-7 თვის ასაკში. ჯიხვთხის სიცოცე-
ლის ხანგრძლიობა 15-16 წლამდე აღწევს.



სურ. 2. ჯიხვთხა

ჯიხვთხა იძლევა კარგი ლირსების (რბილსა და
ცხიმიან) ხორცს, მაღალ პროცენტიანი ცხიმის მქო-
ნე რძეს, კარგი ლირსების ტყავსა და მატყლს.

ჯიხვთხა შეიძლება მოშენებულ და გამოყენებულ
იქნეს როგორც სასოფლო-სამეურნეო ცხოველი.

3. შინაური თხა (*Capra hyrcus*)



ეროვნული
ბუნებრივი

სხვადასხვა ჯიშის შინაური თხები ზოოპარკში
ინახება ჯიხვთან საჰიბრიდიზაციოდ.

თხის მაკეობა ხუთ თვემდე გრძელდება. შობს
იგი 1-2 ციკანს. სქესობრივად ნეზვი თხა მწიფ-
დება 7-8 თვის ასაკში.

შინაური თხა, როგორც ძვირფასი სასოფლო-
სამეურნეო ცხოველი განსახლებულია მთელ მსოფ-
ლიობში.

თხისა გამოიყენება ხორცი, რძე, ტყავი, მატყ-
ლი, რქები.

4. ტარი (*Hemitragus jemlahicus*)

ტარი მიეკუთვნება გარეული თხების ჯგუფს.
საკმაოდ მოზრდილი ცხოველია. ვაკის სხეულის
სიგრძე 1,8 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიმაღლე—
1 მეტრამდე. სხეული დაფარულია საკმაოდ გრძე-
ლი და ხშირი მატყლით.

გავრცელებულია პიმალაიების ჩრდილო კალ-
თებზე. ვერტიკალურად ზღვის დონეს ზევით აღწევს
4500 მეტრამდე.

ნერბვა მიმდინარეობს შემოდგომაზე. მაკეობა
გრძელდება 5,5 თვემდე. შობს ერთ ციკანს.

სარეწაო ობიექტია. ეგამოიყენება ხორცი, ტყავი,
შატული.

ეროვნული
პარკის მიერ




სურ. 3. ტარი

5. ურიალი (*Ovis orientalis vignei* Blyth)

ურიალი გარეული ცხვარია. გავრცელებულია
ბელუჯისტანში, კაშ्मირში, ტაჯიკეთში, აღმოსავ-
ლეთ ავლანისტანში. ბინადრობს მაღალალპურ ზო-
ნაში, ვერტიკალურად იგი ზღვის დონედან 4500
მეტრამდე აღწევს.

ურიალის ნერბვა ხდება შემოდგომის დამლევს
მაკეობა 5 თვეში გრძელდება. შობს ერთ კრატერზე
გრძელდება.



სურ. 4 ურიალი

რომელიც დაბადებიდან 0,5-1 საათის შემდეგ
უკვე კუნტრუშით დასდევს დედას.

ურიალი შესაძლებელია შეჯვარებულ იქნეს 
ნაურ ცხვართან.

სანადირო ობიექტია, მაგრამ საერთო რაოდენობის სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

6. შინაური ცხვარი (*Ovis aries* L)

სხვადასხვა ჯიშის შინაური ცხვრები ინახება გარეულ ცხვრებთან საჰიბრიდიზაციოდ.

ცხვრის მაკეობა გრძელდება ხუთ თვემდე. შობს, ჩვეულებრივად, ერთ ბატყანს. სქესობრივად მწიფება 1,5 წლის ასაკში. ცოცხლობს 12 წლამდე.

შინაური ცხვარი, როგორც ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო ცხოველი განსახლებულია მთელ მსოფლიოში,

შინაური ცხვრისა გამოიყენება მაღალხარისხოვანი ხორცი, ცხიმი, რძე, მატყლი, ტყავი.

7. აზავერი (*Poëphagus gruniens* L)

აზავერს სხვაგვარად იაკსაც უწოდებენ. იგი გავრცელებულია ტიბეტის ზეგანზე, სადაც მისი ვერტიკალური გავრცელების ზედა საზღვარი 6000 მეტრამდე აღწევს, ხოლო 1800 მეტრი წარმოადგენს მისი გავრცელების არეალის ქვედა საზღვარს.

აზავერის საერთო რაოდენობა ბუნებრივ პიროვნეულობა და მიმდევად განვითარებულია. სამაგიეროდ განვითარებული ნაურებულია იგი და ფართოდაცაა განსახლებული ტიან-შანზე, პამირზე, ალტაიზე, იმიერ ბაიკალეთში, მანჯურიაში და სხვ. მოშინაურებული აზავერი გამოიყენება როგორც საზიდი ცხოველი, რომელსაც ზურგით აღვილად შეუძლიან ატაროს 100-150 კლგ. ტვირთი, ზოგჯერ მეტად ძნელად გასასვლელ ბილიკებზე (მაგალითად, ტიბეტში, ტიან-შანზე და სხვ.), მას იყენებენ აგრეთვე როგორც საჯდომს, შესაბმელსა და გამწევ საქონელს (აბამენ ურემში, სახნავში და ა. შ.). აზავერის ხორცი და რძე გამოიყენება საკვებად, ტყავისაგან ამზადებენ საქალამნეებს ან ფეხსაცმელის ლანჩის. მატყლისაგან ქსოვენ უხეშ ქსოვილებს ან გრეხენ საბელს (თოკს). მისი გამხმარი განავალი (წივა) მთელს ტიბეტში, ერთად ერთ საწვავ მასალას წარმოადგენს.

გარეული აზავერი ჩვეულებრივ შავი ფერისაა ხოლო შინაურს შუბლზე თეთრი ხალი ან თეთრი წინწკლები აყრია სხეულზე. ასეთივეა ხოლმე გარეულისა და შინაურის ჰიბრიდებიც. იშვიათად გვხვდება თეთრი შეფერადების.

შინაურ ძროხასთან იძლევა ნაყოფიერ შთამო-მავლობას.

აზავერის ნერბვა ხდება ზაფხულობით. მაკეო-
ბა გრძელდება 9 თვემდე. შობს, ჩვეულებრივა
ერთ ხბოს. სიცოცხლის ხანგრძლიობა 20 წლამდე
აღწევს.

8. ზებუ (Bos taurus indicus)

გავრცელებულია ინდოეთში, ცეილონზე. ინდო-
ჩინეთში, ირანში, მესოპოტამიაში, არაბეთში.

გვხვდება მოწითალო, მიხაკისფერი და მოყვი-
თალო, ზოგჯერ ჭრელიც.

ზებუსათვის დამახასიათებელია საკმაოდ მოზრ-
დილი ცხიმოვანი წარმოშობის კუზი, რომლის ქვეშ
ხერხემლის მაღები რამდენიმედ წაგრძელებულია.
რქები წაგრძელებული და, ხშირად, სწორია.

არჩევენ ზებუს მეხორცულსა და მერძეულ ჯი-
შებს.


შინაურ საქონელთან (ძროხებთან) იძლევა ნა-
ყოფიერ შთამომავლობას, რომელსაც ახასიათებს
მაღალი პროდუქტიულობა (იძლევა დიდი რაოდე-
ნობისა და ცხიმის მაღალ პროცენტოვან რაობა, დი-
დი რაოდენობის ხორცი).

მაკეობა 9 თვემდე გრძელდება, შობს ერთ ხბოს.
ზებუ ცოცხლობს 25 წლამდე.

9. გნუ (Connochaetes taurinus Burch)

ეროვნული
ბიურო

ეს ანტილოპათა ქვეოჯახს ეკუთვნის. გავრცე-
ლებულია სამხრეთ აფრიკის გაშლილ ველებზე, სა-
დაც მრავალრიცხოვანი ნახირის სახით ბინად-
რობს.



სურ. 5. გ ნ უ

გნუ გარეგნული აგებულებით წააგავს ცხენს (კარ-
გად განვითარებული ფაფარი და ძუა), ნაწილობ-
რივ მიემსგავსება თხას (მოკლე წვერი ნიკაპზე),

ხოლო დანარჩენი ნიშანთვისებებით იგი ნამდვილი /
ანტილოპია (წყვილი ჩლიქები, რქები და ა. უ. კორთავი)

ტყვეობაში აღზრდის შემთხვევაში გნუ ველურ
ინსტინქტებს ძნელად ჰქარგავს.

ჩვენ კლიმატურ პირობებს ადვილად ეგუება და
მრავლდება კიდეც. მისი მაკეობა 8,5 თვემდე
გრძელდება. შობს ერთ ხბოს. ცოცხლობს 20 წლამდე.


გამოიყენება მისი ხორცი, ტყავი, ხოლო რქები-
საგან ამზადებენ დანის ტრებს, იაფფასიან ლილებ-
სა და სავარცხლებს.

10. კანა (*Taurotragus oryx Pall*)

კანა დიდი ზომის ანტილოპია. მისი სხეულის სი-
გრძე 4 მეტრამდე აღწევს (აქედან კუდზე მოდის
70 სანტიმეტრამდე). ზრდასრული კანა იწონის
500 კილოგრამამდე. დამახასიათებელია გრძელი და
ფუძესთან რამდენიმედ დაგრეხილი რქები, რომლე-
ბიც ორივე სქესის წარმომადგენლებს უნითარდებათ.
გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრი-
კის ველებზე, სადაც იგი მცირე რიცხოვან (5-10 სუ-
ლი ერთად) ჯგუფების სახით ცხოვრობს.

ცდილობენ კანას მოშინაურებას და შინაური
ცხოველის სახით მის გამოიყენებას. იგი იძლევა საკ-
მაოდ მაღალ პროცენტიანი (დაახლოებით 9% დე)

ცხიმის მქონე რძეს, კარგი ლირსების—რბილსა—
ცხიმოვან—ხორცის. ტყავი მაღალხარისხოვანია



სურ. 6. კანა

2. თბილისის ხორბაზე



თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი
17

კანას მოშინაურების საქმიანობას აბრკოლებს/ის გარემოება, რომ ჩვენ კლიმატურ პირობებში კარებად ვერ ეგუება.

მაკეობა 9 თვემდე გრძელდება. შობს ერთ ხბოს. ცოცხლობს 25 წლამდე.

11. ნილგაუ (Boselaphus tragocamelus, Pall)

ნილგაუ მიეკუთვნება ანტილოპების ქვეოჯახს. გავრცელებულია ინდოეთში, სადაც იგი გაშლილ ველებზე ბინადრობს.

დამახასიათებელია მოკლე, წვეტიანი და აღმართული რქები. სხეულის წინა მხარე რამდენიმედ უფრო მაღალია გავასთან შედარებით. ყელზე მცირე ზომის გრძელ ბალნიანი ფუნჯი აქვს. კისერზე ბალანი რამდენადმე გრძელია, სხეულის სხვა ნაწილების ბალანთან შედარებით.

ჩვენ კლიმატურ პირობებს ადვილად ეგუება და მრავლდება. მაკეობა 8 თვემდე გრძელდება. შობს ერთ ხბოს. ცოცხლობს 20 წლამდე.

ნილგაუსი გამოიყენება კარგი ლირსების—რბილი და ცხიმოვანი—ხორცი, ცხიმოვანი რძე, მაღალხარისხოვანი ტყავი.



ସ୍ତୁର. 7. ନୀଳଙ୍ଗାଉ.

12. ქურციკი (Gazella subgutturosa, Guly)

ეროვნული
ბაზარი

ქურციკს სხვაგვარად ჯეირანს უწოდებენ. იგი ტკუთვნის მცირე ზომის ანტოლოპათა ჯგუფს. მოიპოვება მცირე აზიაში, სირიაში, ამერიკავეკასიაში,



სურ. 8. ქურციკი

კასპიის ზღვის იქითა მხარეში, თურქენეთში, ღრაძეში. საქართველოში გვხვდება შირაქის ველის დურეს აღმოსავლეთ მხარეში, ალაზნისა და იორის შესართავთან და გარდაბნის ველებზე. საქართველოში მისი საერთო რაოდენობა მეტად შემცირებულია. ბინადრობს ველებზე და ნახევრად უდაბნო ადგილებში და უდაბნოებში.

ცხოვრობს ჯგუფურად, რომელშიც ზოგჯერ 50-100 სულია ხოლმე გაერთიანებული. საძოვარზე უმეტეს ნაწილად ლამე გამოდის, ხოლო დღეს უმეტეს ნაწილად ატარებს მიმალულ ადგილას.

ქურუკი ტყვეობის პირობებს ადვილად ეგუება და მრავლდება კიდეც. მისი მაკეობა 7 თვემდე გრძელდება. შობს ერთ ნუკრს, იშვიათად — ორს.

ქურუკისა გამოიყენება მაღალხარისხოვანი ხორცი და ტყავი. რქებისაგან ამზადებენ დანის ტარებს, ლილებს და სხვ.

13. საიგა (*Saiga tatarica* L.)

საიგა მცირე ზომის ანტოლოპია. საყურადღებოა, რომ გარეგანი ზოგიერთი ნიშათვისებით იგი მიემსგავსება ცხვარს, ხოლო ზოგიერთით-კი — ჩრდილოეთის ირემს. დამახასიათებელია მაღალი (30-55 სნტ.) და ქარვისებურად გამჭვირვალე რქები, რომლებიც მხოლოდ ვაცს მოეპოვება, განიერი ნესტოე-

ბი, რომლებიც ხორთუმს მიეჩინავსება, „კუზიანი“
დინგი.

კუზიანი
გარემონტირებული
გიგანტური ბირთვი



სურ. 9. საიგა

საიგა გავრცელებულია ყალმუხეთის, ყაზახის-
ტანისა და შუა აზიის სტეპებსა და უდაბნოებში.

ბინადრობს მრავალრიცხოვანი ფარების სახით, თუმცა
უნდა ალინიშნოს, რომ მრავალ აღგილს უწევს
რიგო ნადირობის შედეგად, ეს ძვირფასი ცხოველი
ამოწყვეტილია.

საიგა ხურაობს ზამთრის დამლევს. მაკეობა
5 თვემდე გრძელდება. შობს ერთ ნაშიერს. ტყვეო-
ბაში აღზრდილი საიგა აღამიანს აღვილად ეგუება.

საიგისა გამოიყენება ხორცი, რომელიც დაბალი
ლირსებისაა; ტყავისაგან ამზადებენ საშუალო ხი-
რისხის ზამშს, რქები, როგორც ირმის რქის პან-
ტი, გამოიყენება სამკურნალო ნივთიერებათა დასა-
მზადებლად.

14. შველი (*Capreolus capreolus* L)

გავრცელებულია მთელს ევროპაში, გარდა მისი
ჩრდილოეთ რაიონებისა, კავკასიაში, მცირესა და
წინა აზიაში.

საქართველოში საკმაოდ მრავლად გვხვდება
კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთების
ტყეებში, ბორჯომის ხეობაში, გარდაბნის ტყეებში,
ცივ-გომბორის ქედზე, ფოთის მისადევრებში, ჭა-
ლადიდისა და ქლუხორის რაიონის ტყეებში.

შელის ვერტიკალური გავრცელების ზედა საზ-
ღვარი არა სცილდება ტყის ზონის ზედა ხაზს.

ჭაც შველს უვითარდება 2-3 ტოტიანი რქები, რომლებსაც იგი ყოველწლიურად იცვლის მიზანი ნაცვლად 4-5 თვის განმავლობაში სრულიად ახალი უვითარდება. მდედრ შველს რქები არა აქვს.

ნერძვა მიმდინარეობს ზაფხულობით. შველი ცხრა თვის მაკეობის შემდეგ შობს ჩვეულებრივად 2 ნუკრს, იშვიათად ერთს ან სამს. გამონაკლისის სახით აღნიშნულია, რომ შველს ოთხი ნუკრი უშობია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნუკრები მეტად უსუსურები იბადებიან და ზოგჯერ მათი უმრავლესობა ადრეულ ასაკშივე იღუპება. ახლად დაბადებულ ნუკრს გვერდებზე სწორხაზოვანად განლაგებული თეთრი ხალები აქვს, რომელნიც მას 5-6 თვის ასაკის შემდეგ აღარ ემჩნევა.

შველი იძლევა საკმაო რაოდენობისა და კარგი ლირსების სარეწაო პროდუქტებს. მისი ტყავისაგან ამზადებენ გულებს, ჩანთებს, საშუალო ხარისხის ზამშს; ბეწვისაგან ჰქერავენ თბილ ქურქებს, ქუდებს და სხვ. მისი ხორცი მაღალხარისხოვანია.

შველი აღვილად ეგუება ტყვეობას და ეჩვევა ადამიანს, თუმცა ვაცი შველი მხეცურ ინსტინქტებს ძნელად ჰქარგავს და ხშირად თავის მომვლელებს რქებით უმასპინძლდება.

ზოოპარკის პირობებში შველი ცოცხლობს ჩვეულებრივად 4-5 წლის განმავლობაში. შველის სიცოცხლის ხანგრძლიობა 15 წლამდე აღწევს.

15. კავკასიის ირემი (Cervus elaphus maral Ogilby)



გავრცელებულია კავკასიაში, ჩრდილო-დასავ-ლეთ ირანსა და მცირე აზიაში. საქართველოს ფარგლებში ირემი გვხვდება ლაგოდეხის, ყვარლის თბილისის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, მცხეთის გარდაბნისა და ქლუხორის რაიონებში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში, სვანეთში და აქა იქ გურია-აჭარის ქედზე.

ვერტიკალურად ირემი აღწევს ზღვის დონიდან 3000 მეტრის სიმაღლემდე. გვხვდება იგი ტყეში, რომლის გარეშე მას შეიძლება შევხვდეთ მხოლოდ შემთხვევით: ტყის მახლობელ ველებზე საძოვრად გამოსვლის შემთხვევაში.

ხარ-ირმისათვის დამახასიათებელია რქები, რომ-ლებიც ფურ-ირემს არ უნვითარდება. დატოტვილი და გრძელი რქების გამო ირემს ზოგჯერ „რქაბუ-დიანს“ ან „ქორბუდას“ უწოდებენ ხოლმე. რქებზე ირემს 8-10 შტო უვითარდება. იშვიათად შტოთა რაოდენობა თითოეულ რქაზე 15-17 აღწევს.

ირმის მაკეობა რვა თვემდე გრძელდება. ირემი გაზაფხულზე (ზოგჯერ უფრო გვიანაც) შობს ერთ (იშვიათად ორ) ნუკრს რომლის სხეული დაფარულია უწესრიგოდ განლაგებული თეთრი ხალებით,



რომლებიც ცხოველს ერთი ჭლის ასაკის შემდეგ /
აღარ ემჩნევა და ცხოველის შეფერადება რაშე მცნობი-
მედ ერთფეროვანი ხდება. სამი ჭლის ასაკში ირემს
გამრავლების უნარი შესწევს, ხოლო მისი სიცოც-
ხლის ხანგრძლიობა 35 ჭლამდე აღწევს.

ირემი ჩვენი ფაუნის ერთ-ერთი უძვირფასესი
წარმომადგენელია. მას იცავენ ჩვენი რესპუბლიკაში
ტერიტორიაზე ყველგან. ამის შედეგად იკი ზოგ
ადგილას (მაგალითად, ბორჯომის ხეობაში, ლაგო-
დების ნაკრძალში და სხვ.) საკმაო რაოდენობით
მომრავლდა.

ირემი იძლევა მრავალგვარ სარეწაო მნიშვნე-
ლობის მქონე პროდუქტს, როგორიცაა, მაგალი-
თად, ტყავი რომლისგანაც ამზადებენ თბილ ქურ-
ქებს, საშუალო ხარისხის ზამშს, ფეხსაცმლის ლანჩის
და სხვ.; მატყლისაგან ჰკერავენ კარგი ხარისხის
უნაგირის ბალიშებს, რქები გამოიყენება დანის
ტარებისა და ქალალდის საჭრელი დანების დასამ-
ზადებლად. ირმის ხორცი მაღალხარისხოვანია.
კარგი ლირსებისაა ირმის რძეც.

16. შირიმის ირმი (Cervus taurinus)

გავრცელებულია ყირიმში და სამხრეთი უკრა-
ინის სტეპებში. საკმაოდ მრავალრიცხოვნიდ მოი-
პოვება ასკანია-ნოვას ნაკრძალში.

თბილისის ზოოპარკში ყირიმის ირემი კოვიდ-
წლიურად მრავლდება.

ცხოვრების ნირი ისეთივეა როგორიც კავკასიის
ირმისა (იხ.).

17. ხალებიანი ირემი (*Cervus hortulorum* Sw)

ხალებიანი ირემს სხვაგვარად უსურიის ირემსაც
უწოდებენ. გავრცელებულია იგი უსურიის მხარეში.
მანჯურიაში, ჩინეთში და აგრეთვე კუნძულებზე:
ასკოლდზე, პუტიატინსა და რიმსკი-კორსაკოვზე.
საქართველოს ფარგლებში რამდენიმე ათეული
(60-70) აკლიმატიზებულია ტებერდის ნაკრძალში
(ქლუხორის რაიონი).

ბინადრობს დაბლობი აღგილების ტყე-ბუჩქნა-
რებში.

ხარ-ირმისათვის დამახასიათებელია გრძელი,
წვრილი და განშტოებული რქები, რომლებსაც
ყოველწლიურად მაის-ივნისში იცვლის. მათ ნაც-
ვლად 4-5 თვეში ახალი რქები უვითარდება. სა-
ყურადღებოა, რომ ხალებიანი ირმის ნორჩი რქე-
ბისაგან ამზადებენ განსაკუთრებულ ნახარშს, რო-
მელიც შეიცავს განსაკუთრებულ სეკრეტს „პანტო-
კრინს“, რომელიც სამკურნალო მიზნით გამოიყე-
ნება.

ხურაობს ხალებიანი ირემი დეკემბერ-იანვარში.
მაკეობის ხანგრძლიობა 7-5 თვემდე აღმოჩენის
შობს ჩვეულებრივად ერთ ნუკრს, რომლის სხეული
დაფარულია თეთრი ხალებით. სქესობრივ სიმწი-
ფეს სამი წლის ასაკში აღწევს. ზოოპარკის პირო-
ბებში ყოველწლიურად მრავლდება.

ხალებიანი ირმისა, გარდა ზემოაღნიშნული
რქებისა, გამოიყენება ტყავიც, რომლისგანაც კარ-
გი ლირსების ლანჩებს ამზადებენ. კარგი ლირსე-
ბისაა მისი ხორციც.

18. ირმალალი (Dama dama L.)

გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის სანაპირო
ქვეყნებში, როგორც ევროპის, ისე აფრიკის კონ-
ტინენტზე. ევროპის მრავალ ადგილას მას ხელო-
ვნურად აშრავლებენ პარკებსა და ნაკრძალებში და
შემდეგ მათზე გასართობ ნადირობას აწყობენ.
საქართველოში ერთეულების სახით გვხვდება ბორ-
ჯომის სახელმწიფო ნაკრძალში, სადაც იგი მიმ-
დინარე საუკუნის დასაწყისშია გაშვებული სააკლი-
მატიზაციოდ.

სხვა ირმებისაგან განსხვავებით, ირემლალის
რქები წვეროში ნიჩბისებურადაა გაბრტყელებული.
რქები უვითარდება მხოლოდ ხარს. რქებს იცვლის



ყოველწლიურად გაზაფხულზე, წრომელთა ნაცოლად /
4-5 თვეში ამოსდის ახალი.

საქართველო
გიგაკონსერვი

ირემლალი გვხვდება ხალებიანი, თეთრი და
შავი შეფერადებისა.

ირემლალის მაკეობა გრძელდება 8 თვემდე.
შობს ერთ ნუკრს. სამა წლის ასაკში სქესობრივ
სიმწიფეს აღწევს. ცოცხლობს 25 წლამდე.

ძვირად ფასობს მისი კარგი ლირსების მკვრი-
ვი და რბილი ტყავი.

19. გარეული ღორი (*Sus scrofa attila* Thom)

გარეული ღორის აღნიშნული სახეობა ფართო-
დაა გავრცილებული აღმოსავლეთი ევროპის სამხ-
რეთ ნაწილში, კავკასიაში და ჩრდ. ირანში.

საქართველოს ფარგლებში გარეული ღორი
ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება კახეთში, გარდაბ-
ნის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში და
აფხაზეთში; შედარებით მცირე რაოდენობით ბი-
ნაღრობს იგი აჭარაში და ფოთის მიდამოებში.

ცხოვრობს ტყეში, ბუჩქნარში და ლერწმიან
აღგილებში.

გარეული ღორის ნერბვა მიმდინარეობს შემო-
დგომის დამლევიდან გაზაფხულის დასაწყისამდე.

მისი მაკეობა გრძელდება ოთხ თვემდე, რის შემდეგაც შობს 5-6 გოჭს. იშვიათია შემთხვევები, როდესაც გარეული ღორი უფრო მეტი რაოდენობის (10-12) გოჭს შობს. გოჭის სხეული გასწვრივ ზოლიანია.

გარეული ღორი ჩვენი ქვეყნის სანადირო-სარეწაო ფაუნის წარმომადგენელია. იგი იძლევა კარგი ღირსების ხორცს, მაღალხარისხოვან ცხიმს, მისი ტყავისაგან ამზადებენ ფეხსაცმლის საპირეს, ჩანთებს, უნაგირის ბალიშებს; იყენებენ ტყავს საქალამანედაც; ჯაგრისაგან ამზადებენ ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, იატაკის საწმენდი, სამლებრო და სხვა სახის ჯაგრისებს.

გარეული ღორი ჩვენს სახალხო მეურნეობას ერთგვარ ზიანსაც აყენებს მინდვრის ნათესების, განსაკუთრებით სიმინდის, ბრინჯისა და ფეტვის ყანების განადგურებითა და გათელვით, ტყის ახალი ნერგების ამოჩიჩქვნით და სხვა.

გარეული ღორი შინაურ ღორს ადვილად ეჯვარება და კარგი ღირსების ჰიბრიდებს იძლევა.

გარეული ღორი შინაური ღორის ერთ-ერთი წინაპართაგანია.

20. შინაური ღორი (*Sus domesticus*)

შინაური ღორი ზოოპარკში ინახება გარეულ ღორთან საჰიბრიდიზაციოდ.

შინაური ლორის მაკეობა ოთხ თვემდე გრძელ-
დება. შობს 8-12 გოჭს. სქესობრივად მწიფებულის
8-10 თვის ასაკში.

შინაური ლორი, როგორც ძვირფასი სასოფ-
ლო-სამეურნეო ცხოველი, განსახლებულია მთელ
მსოფლიოში.

შინაური ლორისა გამოიყენება მაღალხარისხო-
ვანი ხორცი, ცხიმი, ჯაგარი.

21. პონი

პონი ერთ-ერთი ყველაზე მცირე ზომის ცხენთა-
განია. მისი სიმაღლე 120-125 სანტიმეტრამდე
აღწევს.

შინაური ცხოველის სახით მას ინახავენ დასა-
ვლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში და იაპონია-
ში. პონის მაკეობა 11 თვემდე გრძელდება.

ადვილად ეჯვარება შინაურ ცხენს, შინაურ
ვირს და აგრეთვე ზებრას.

პონის სიცოცხლის ხანგრძლიობა 40 წლამდე
აღწევს.

22. ჰებრა (Equus chapmani Layard)


ზებრა გავრცელებულია აფრიკაში გარდი მისი
ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო ნაწილისა.

ბინადრობს იგი თვალუწვდენელ ველებზე მრა-
ვალრიცხოვანი ოვების სახით.

გარეგანი შეხედულებით ზებრა უფრო მეტად
უახლოვდება ვირს, ვიღრე ცხენს.

ზებრას სხეული აკრელებულია თეთრი და შავი
განივი ზოლებით. თავზე ეს ზოლები რამდენიმედ
სხვაგვარადაა განლაგებული.

ზებრა ადვილად ეულლება შინაურ ცხენს, ვირს,
პონის და იძლევა უნაყოფო თაობას — ჯორს.



სურ. 12. ზებრა


ზებრას ნერბვა მიმდინარეობს გაზაფხულზე.
მისი მაკეობა 12 თვეებდე გრძელდება. სქესობრივ

სიმწიფეს სამი წლის ასაკში აღწევს, ცოცხლობა
ზებრა 30 წლამდე.

აფრიკის ზოგიერთ ადგილას ზებრას აშინაურებენ და იყენებენ შინაური საქონლის სახით — შესაბმელად, საჯდომად და სხვ.

23. ზებროდი (Equus chapmani x Equus cabalus)

ესაა ზებრას და შინაური ცხენის ჰიბრიდი. ზებროდის მისაღები ცდები ზოოპარკში ტარდებოდა



შინაური ცხოველის ახალი ჯიშის მიღების მიზნით. /
შებროიდი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც
შესაბმელი, საზიდი და საჯდომი ცხოველი. იგი
ლონითა და გამძლეობით სჭარბობს შინაურ ცხენს.

24. აქლემი (*Camelus bactrianus* L.)

ამჟამად აქლემი გარეულ მდგომარეობაში მხო-
ლოდ ცენტრალური აზიის უდაბნოებში გვხვდება.
ბუნებრივ პირობებში აქლემის საერთო რაოდენობა
მეტად შემცირებულია. სამაგიეროდ მოშინაურე-
ბული ფორმის სახით იგი ფართოდაა განსახლე-
ბული ცენტრალური და სამხრეთი აზიის მრავალ
ადგილას. მოშინაურებული აქლემი გამოიყენება
როგორც ტვირთის საზიდი, საჯდომი, შესაბმელი
საქონელი. ზურგით მას ადვილად შეუძლიან 150-
-200 კლგ. ტვირთის ზიდვა.

აქლემის მაკეობა 13 თვემდე გრძელდება. შობს
ერთ ნაშიერს, რომელსაც „კოზაკს“ უწოდებენ.
სქესობრივ სიმწიფეს სამი წლის ასაკში აღწევს.
ცოცხლობს 40 წლამდე.


მრავალ ადგილას აქლემის ხორცს საკვებად იყე-
ნებენ. აქლემის თივთიკისებური მატყლი გამოიყე-

ნება ძვირფასი ქსოვილების დასამზადებელად. ტყავი-
საგან ამზადებენ ლანჩებს, საქალამნებს. 

25. ინდოეთის სპილო (Elephas indicus L.)

ინდოეთის სპილო თანამედროვე ხმელეთის
ხერხემლიანთა შორის ერთ-ერთი უდიდესი წარმომ-
დგენელთაგანია (იგი რამდენიმედ უფრო მცირეა
აფრიკის სპილოზე). მისი სიმაღლე მინდაოში აღწევს
3 მეტრამდე, ხოლო წონა 4000 კილოგრამდეა.
დამახასიათებელია თავისებური გრძელი, კუნთო-
ვანი და მეტად მოქნილი ხორთუმი, რომელიც წარ-
მომდგარია ცვირისა და ზედა ტუჩის გაერთიანე-
ბის შედეგად. კისერი მეტად მოკლე და გარედან
ოდნავაა გამოხატული. კუდი მოკლე და წვრილია.
კანი თითქმის მოკლებულია ბალნიან საფარველს
(კუდზე აქვს მოკლე თმიანი პატარა ფუნჯი, ტანზეც
აქა იქ აქვს ჯაგრისებური ბალანი). მამრებს ძლიერ
აქვთ წაგრძელებული შუალა მჭრელი კბილები, რომ-
ლებსაც „შუანები“ ეწოდება. მათი სიგრძე ზოგ
ფორმებში, 1,3—2 მეტრამდე აღწევს ხოლმე, ხოლო
წონა 40—80 კილოგრამამდე. თბილისის ზოოპარ-
კის სპილო დედალია. მას გარედან მოუჩანს მცირე

ზომის შუანი (მეორე მოტეხილი აქვს). შუანებისა—
გან ამზადებენ ბილიარდის ბურთებს ჭარბაკის,
ფიგურებს და სხვ. სპილოს სათესლე ჯირკვლები
სხეულის სიღრუეშია დაშალული. ხმელეთის ხერხე-



სურ. 14 სპილო

მლიანებს შორის სპილოს ტვინი ყველაზე მეტია—
იგი იწონის 5430 გრამს, მაგრამ სხეულს საერთო
წონასთან შეფარდებით უმნიშვნელოა (იგი თითქმის
700—900 ჯერ უფრო ნაკლებია ცხოველის სხეულის
საერთო წონაზე).

სპილო იკვებება ხის ფოთლებით, ტოტებით /
ფესვებით. ზოგჯერ ღეჭავს დაახლოებით 10-12
სანტი. დიამეტრის მქონე ტოტებს. ზოოპარკში სპი-
ლოს საკვებად ეძლევა: თივა 40,0, ქერი 2,0,
შერია 1,5, ქატო 10,0, კოპტონი 5,0, ჭარხალი 30,0,
სტაფილო 10,0, პური 5,0, შაქარი 1,0, ხილი 5,0,
მარილი 0,1.

გავრცელებულია ინდოსტრანში და ზონდის ზო-
გიერთ კუნძულზე.

სპილოს ადვილად აშინაურებენ და იყენებენ
ტვირთის საჩიდად, საჯდომად და სხვ.

ტყვეობაში სპილო იშვიათად მრავლდება. სქე-
სობრივად იგი 30 წლის ასაკში მწიფდება. მაკეობა
628 დღემდე გრძელდება. მრავლდება რამდენიმე
წელიწადში ერთხელ. მთელი თავისი სიცოცხლის
მანძილზე 5-6 ნაშიერსა შობს. ცოცხლობს 150-
200 წლამდე.

26. ლომი (Felis leo L.)


ლომი კატების ოჯახის უდიდესი წარმომადგენელ-
თაგანია. მისი წონა 200 კლგ. აჭარბებს.

ლომი გავრცელებულია აფრიკაში და ირანის
სამხრეთ-დასავლეთში. ბინადრობს ბუჩქნარსა და
ჩალიან ადგილებში. ზოგჯერ ბუნაგს მთა-გორიან
ადგილებშიც იკეთებს.

ხვად ლომს ვრძელი და ხშირი ფაფარი უნვი /
თარდება, რაც ძუს არ მოეპოვება.

თარიღული
გიგანტის

საგრძნობი სიძლიერისა და ლომის ლრიალი, რო-
მელიც, ზოგიერთი მოგზაურის გადმოცემით, 35



სურ. 15. ლომი

კილომეტრის მანძილზე ისმის. შეიძლება ეს ნათქ-
ვამი რამოდენიმედ გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ
მისი ლრიალის ძალა მაინც საკმაოდ დიდია.

ბუნებრივ პირობებში ლომი თავს ესხმის სხვა-
და სხვა სახეობის ანტილოპებს (გნუს, კანას,
40

გაზელებს და სხვ.), ზებრებს, გარეულ ვირებს  სხვ. ხანში შესული და დაუძლურებული ლომით, მელსაც მსხვილი ძუძუმწოვრების დაჭერა აღარ ძალუძს, იჭერს და სჭამს მცირე ზომის მღრღნელებს, ხშირად მწერებითაც კი ირჩენს თავს.

ზოოპარკის პირობებში ლომს ყოველდღიურად 8-10 კილოგრამი ხორცი ეძლევა.

ლომი ზოოპარკის პირობებში მძუნაობს წლის სხვადასხვა დროს. მისი მაკეობა 108 დღემდე გრძელდება. შობს 2-4 ლეკვს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში თვალუხილავი იბადებიან, ხოლო ზოგ შემთხვევაში—თვალხილული.

ლომის ლეკვიჟადვილად ეგუება ადამიანს და მალე იწროვნება. მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა 40 წლამდე აღწევს. გამონაკლისის სახით აღნიშნულია როდესაც ლომს 70 წლამდე უცხოვრია.

27. ლელიანის კატა (Chaus chaus Guld)

ლელიანის კატა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. იგი გვხვდება კავკასიაში, წინა მცირე და შუა აზიაში, ინდოეთსა და ეგვიპტეში.

ვერტიკალურად ვრცელდება ზ. დ. ზევით 1500 მეტრამდე. უფრო მეტად ბინადრობს ველებზე. რომლებიც ბუჩქნარით, ლერწმით ან ჩალითაა დაფარული.

ლელიანის კატა მავნებელ ცხოველთა ჯგუფს /
ეკუთვნის. იგი დიდი რაოდენობით ანადგურების
სანადირო-სარეწაო ფაუნის წარმომადგენლებს. ზოგ-
ჯერ იპარება საქათმეშიც და იტაცებს ან ზოცავს
შინაურ ფრინველებს (ქათამს, ინდაურს, ბატს, იხვს
და ხევ.)

მცირეოდენი სარგებლობა მოაქვს სახალხო მეურ-
ნეობისათვის მავნე მღრღნელების განადგურებით,
მიგრამ სარგებლობა მის მიერ მიყენებულ ზიანთან
შედარებით უმნიშვნელოა.

მძუნაობს გაზაფხულზე. მაკეობა 56 დღემდე
გრძელდება. შობს 2-6 თვალუხილავ კნუტებს,
რომლებსაც თვალები 9-10 დღეზე ეხილებათ. სქე-
სობრივ სიმწიფეს ერთი წლის ასაკში აღწევს. ცო-
ცხლობს 12 წლამდე.

ზოოპარკში საკვებად ეძლევა 600 გრამი ხორცი
ყოველდღიურად.

28. ჩვეულებრივი ფოცხვერი

(*Lynx lynx L.*)

ფოცხვერი კატების ოჯახს ეკუთვნის. სხვა კა-
ტებისაგან განსხვავდება იმით, რომ მას ახასიათებს


შეფარდებით მაღალი კიდურები, მოკლე კუდი /
ყურებზე განვითარებული მაღალი ფუნჯები //
თეთრი სხეული დაფარულია შავი ხალებით.

ფოცხვერი გავრცელებულია ევროპაში და
აზიის უმეტეს ნაწილში (გარდა სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთისა).

საქართველოს ფარგლებში იგი გვხვდება თითქ-
მის ყველა ტყეში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ
იგი ყველგან ერთეულების სახით მოიპოვება.

ბუნაგს იკეთებს მიუვალსა და ულრან ტყეში.
აქ იგი ატარებს მთელ დღეს, ხოლო შებინდებისას
გამოდის სარჩოს საძებრად.

ფოცხვერი მავნებელი ცხოველია. იგი საგრძნო-
ბი რაოდენობით ანადგურებს ჩვენი სარეწაო-სანა-
დირო ფაუნის ძვირფას წარმომადგენლებს, როგო-
რიც არიან, მაგალითად, ირემი, შველი. ზოგჯერ
მის მსხვერპლად შეიქმნებიან ხოლმე ჯიხვი და
არჩიოც, როდესაც ისინი სუსხიანი ზამთრის გამო
თავს ტყეში შეაფარებენ ხოლმე. გარდა ამისა
ფოცხვერი ზიანს აყენებს შინაურ საქონელსაც. მა-
გალითად, იგი თავს ესხმის ძროხას, ცხენს, ვირს
და სხვ. ამიტომაცაა, რომ ფოცხვერს ყველგან სდევ-
ნიან და ყოველგვარ ღონეს იყენებენ მის მოსას-
პობად.



ସ୍ତୁର. 16. କାହାଗାନୀ' ଟୁରପକ୍ଷେରୀ

ფოცხვერი მძუნაობს თებერვალ-მარტში;  მაკეობა 63 დღემდე გრძელდება. შობს 2-4 კვალებით აუზილავსა და უსუსურ ნაშიერს, რომლებსაც თვალები 9-10 დღეზე ეხილებათ. პირველი 4-5 თვის განმავლობაში შვილები დედის მხრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. შემოგვომაზე ისინი შორდებიან დედას და განმარტოებით ცხოვრობენ.

სქესობრივად 2 წლის ასაკში მწიფდება. სიცოცხლის ხანგრძლიობა 20 წლამდე აღწევს.

ფოცხვერის ბეჭვი კარგი ლირსებისაა: მისგან ჰკერავენ თბილ ქურქებსა და ქუდებს. ზოგ ადგილას ფოცხვერის ხორცს საკვებად იყენებენ.

29. ქავასიის ფოცხვერი (*Lynx lynx orientalis* Sat)

გავრცელებულია კავკასიის ტყეებში. საქართველოში გვხვდება კავკასიონის მთავარი ქედისა და ბორჯომის ხეობის ტყეებში. მისი ცხოვრების ნირი ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივი ფოცხვერისა (იხ.).

30. ამიერკავკასიის მაჩვი (Meles meles minor Sat)

მაჩვის საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (მაგალითად, ქართლში, კახეთში) „ხალთას“ ან, „თოფიხალთას“ უწოდებენ.

მაჩვი დაბალი, მოკლე, ჩასუქებული და მოუხე-
შავი სხეულით დათვს მიემსგავსება, მით უმუტეს
რომ მოძრაობაც დათვივით ბაჯბაჯით იცის. სი-
ნამდვილეში მაჩვი მკვირცხლი და ცქვითი კვერნისა
და დედოფალას მონათესავეა.

ამიერკავკასიის მაჩვი გავრცელებულია ამიერ-
კავკასიაში, ჩრდილო ირანსა და ჩრდ. თურქეთში.

საქართველოში იგი გვხვდება თითქმის ყველ-
გან. მაჩვის საბინადროს წარმოადგენენ ტყე, ბუ-
ჩქნარი, და ბალები და სხვ.

მაჩვი მძუნაობს გაზაფხულზე. მისი მაკეობის
ხანგრძლიობა 350 დღემდე აღწევს. შობს 2-6
თვალაუხილავ ნაშიერს, რომელთაც თვალები 30
დღეზე ეხილებათ. ერთი წლის მაჩვს გამრავლების
უნარი შესწევს. ცოცხლობს მაჩვი 12 წლამდე.

შემოდგომის დამლევს მაჩვი სოროში იმალება
და „ზამთრის ძილს“ ეძლევა. ამ დროს იგი არც
არაფერს სჭამს და არც სვამს. ამ ხანში იგი არსე-
ბობს მის ორგანიზმში დაგროვილი ცხიმის ხარჯზე.

მაჩვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მცი-
რეოდენი ზიანი მოაქვს სიმინდის, ხორბლის ყანე-
ბისა და სხვა სახის კულტურულ მცნარეთა განად-
გურებით.

მაჩვის გამოიყენება კარგი ლირსების ჯაგარი,
რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან სა-

პარს ფუნჯებს, ტყავისაგან ჰქერავენ თოფის /ხალ-/
თებს. ზოგ ადგილას მაჩვის ხორცს იყენებენ კვებად.

31. კავკასიის თეთრყელა კვერნა (Martes foina nehringi Sat)

კავკასიის თეთრყელა კვერნა გავრცელებულია
კავკასიაში, მცირე აზიასა და ჩრდ. ირანში. საქართ-
ველოში იგი მოიპოვება თითქმის ყველგან. ბინად-
რობს ტყეში, ბუჩქნარში, კლდოვან ადგილებში და
სხვა. ზოგჯერ ბინავდება სახლისა და ძველი ციხის
ნანგრევებში.

ვერტიკალურად იგი ვრცელდება 3000 მეტრამ-
დე ზ. დ. ზევით.

თეთრყელა კვერნა ჩვენი სარეწაო-საწადირო
ფაუნის ერთ-ერთი ძვირფასი წარმომადგენელთაგა-
ნია. იგი იძლევა მაღალხარისხის ხოვანსა და ძვირფას
ბეჭვს.

გარდა ამისა თეთრყელა კვერნა სარგებლობას
იძლევა დიდი რაოდენობით მავნე მლრღნელების გა-
ნადგურებით. ზოგჯერ ეს პატარა მტაცებელი იპა-
რება ეზოებში და იტაცებს ან ხოცავს შინაურ
ფრინველებსაც. მაგრამ ამ მხრივ სოფლის მეურ-
ნეობისათვის მიყენებული ზიანი იმ სარგებლობას-
თან შედარებით, რომელსაც იგი ამავე მეურნეობას

აძლევს მავნე მღრღნელების მოსპობით, სრულდება
უმნიშვნელოა.



სურ. 17. კავკასიის თეთრყელა კვერნა

თეთრყელა კვერნა ტყვეობას ადვილად ეგუება და ეჩვევა აღამიანს. იგი მძუნაობს ზაფხულობით — ივნის-აგვისტოში. მაკეობა გრძელდება 8 თვეზე მეტ ხანს, რის შემდეგაც შობს 2-4 უსუსურსა და თვალაუხილავ ნაშიერს, რომლებიც თვალებს 36

დღეზე ახელენ. სქესობრივ სიმწიფეს 2 წლის შემდეგ
ში აღწევს. ცოცხლობს 20 წლამდე.

32. ქავერასიის ტყის კვერნა (Martes lorenzi Ogn)

კავკასიის ტყის კვერნა ანუ ყვითელყელა კვერნა ფართოდაა გავრცელებული კავკასიაში, მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. საქართველოში გვხვდება მთავარ კავკასიონის ქედზე, ბორჯომის ხეობაში, აჭარაში.

ვერტიკალურად მისი გავრცელების ზედა საზღვარი ზღვის დონედან 2000 მეტრამდე აღწევს. ბინადრობს ტყიან ადგილებში.

ყვითელყელა კვერნა ძვირფასი სარეწაო ობიექტია. იგი იძლევა მაღალხარისხოვან ბეჭვს, რომელიც უფრო რბილი და გამძლეა, ვიდრე თეთრყელა კვერნისა.

ყვითელყველა კვერნა მძუნაობს ზაფხულობით (ივნის-აგვისტოში). მისი მაკეობა 8 თვემდე გრძელდება. შობს 2-4 თვალაუხილავსა და უსუსურ ნაშიერებს, რომლებიც თვალებს 36 დღეზე ახელენ.

ტყის კვერნა იკვებება სხვადასხვა სახეობის მცირე ძუძუმწოვრებითა და ფრინველებით, მწერებით, ხილით.

33. სიასამური (Martes zibellina)



სიასამური გავრცელებულია ციმბირში, უსურიის
მხარეში, კამჩატკაზე, სახალინზე, ჩრდ. მონღოლეთ-
ში, მანჯურიაში, კორეაზე, ჩრდ. იაპონიაში.

ბინადრობს ტყეში.

სიასამური ძვირფასი სარეწაო-სანადირო ობი-
ექტია: იგი იძლევა ძვირფას ბეჭვს, რომელიც გა-
მოიყენება ქურქებისა და თბილი ქუდების შესა-
კერად.

სიასამური მძუნაობს ზაფხულობით (ივნის-
ავგისტოში). მისი მაკეობა 8 თვე გრძელდება.
შობს 2-6 თვალაუხილავსა და უსუსურ ნაშიერებს,
რომლებსაც თვალები 36 დღეზე ეხილებათ. სიასა-
მურის ნაშიერები პირველი 4-5 თვის განმავლო-
ბაში რჩებიან დედასთან, ხოლო შემდეგში სცილ-
დებიან მას და ცალკე ცხოვრობენ. სქესობრივ სიმ-
წიფეს ორი წლის ასაკში აღწევს. ცოცხლობს სია-
სამური დაახლოებით 20 წლამდე.

სიასამური ტყვეობის პირობებს ადვილად ეგუე-
ბა და მრავლდება კიდეც.

34. ამერიკის წაულა (Lutreola vison Schreb)



ამერიკის წაულა მცირე ზომის მტაცებელია კვერნების ოჯახიდან იგი შეგუებულია ნახევრად წყალში ცხოვრებას.

გავრცელებულია ჩრდილო ამერიკის თითქმის მთელ კონტინენტზე. როგორც ძვირფასი ბეწვეული ცხოველი საბჭოთა კავშირის ფარგლებში იგი აკლიმატიზებულია მრავალ ადგილას.

კერძოდ საქართველოში იგი აკლიმატიზებულია ყვარლის რაიონში.

ამერიკის წაულას მძუნაობა მიმდინარეობს ადრე გაზაფხულზე, მარტში. მაკეობის ხანგრძლიობა 42-45 დღემდე აღწევს, შობს 2-8 თვალაუხილავსა და უსუსურ ნაშიერებს, რომლებსაც ერთი წლის ასაკში უკვე გამრავლების უნარი შესწევთ.

წაულას ძირითად საკვებს შეადგენენ თევზები, ბაყაყები, კიბოები და აგრეთვე მცირე ზომის ძუძუმწოვრები (ზაზუნები, თაგვები და სხვა) და ფრინველები.

35. წავი (Lutra lutra L.)


წავი ნახევრად წყლის ცხოველია: თავისი სიცოცხლის ნაწილს ცურაობბაში ატარებს, საკვების

მეტ ნაწილსაც იგი წყალში შოულობს — თევზების,
ბაყაყებისა და კიბოების სახით.

საქართველო
სიმამაცოდა

წავისათვის დამახასიათებელია დაბალი ფეხები,
ჩაბრტყელებული თაფი და მობლაგვებული დინგი.

წავი ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და
აზიაში. გვხვდება იგი ჩრდილო აფრიკაშიც. კერ-



სურ. 18. წავი

ძოდ საქართველოში მოიპოვება თითქმის ყველგან.
ბინაღრობს ისეთი წყალსატევების მახლობლად,

რომლებშიც საკმაო რაოდენობით მოიპოვებია თევზ-ზი, რომელიც მის ძირითად საკვებს შეადგენს გერტიკალურად წავი გვხვდება ზღვის დონის ზევით დაახლოებით 4000 მეტრამდე.

წავის მძუნაობა მიმდინარეობს ივლის-აგვისტოში. მისი მაკეობა 8 თვემდე გრძელდება. წავი შობს 2-4 თვალაუხილავსა და უსუსურ ნაშიერს, რომელთაც თვალები 36 დღეზე ეხილებათ. პირველი 3-4 თვის განმავლობაში დედა ზრუნავს თავის ნაშიერებზე, ხოლო შემდეგში ისინი სცილდებიან და ცალკე ბინავდებიან.

წავი ჩვენი სარეწაო-სანალირო ფაუნის ერთ-ერთი ძვირფასი წარმომადგენელთაგანია. მას საბჭოთა კავშირის ბეჭვეულ სარეწაოში საგრძნობი ადგილი უკავია.

წავის ბეჭვისაგან მზადდება ძვირფასი საყელოები, თბილი ქუდები, ქურქები. ზოგ ადგილას წავის ხორცს საკვებად იყენებენ.

ტყვეობას წავი ადვილად ეგუება და მალე ეჩვევა ადამიანს.

36. ქავკასიის გველი (*Canis lupus caucasicus* Ogn)

მგელი გარეგანი შეხედულებით მიემსგავსება შინაურ ძალს, რომლის ერთ-ერთ წინაპართაგანადაც იგი ითვლება.

კავკასიის მგელი გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიის ჩრდ. აღმოსავლეთ რაიონებში,

ჩრდ. ირანში. საქართველოში იგი გვხვდება ქმის ყველგან. მეტ წილად მოიპოვება რაიონებში, სადაც მოსახლეობა მესაქონლეობას მისდევს.

მგელი ტყის მობინადრეა. მაგრამ ტყის გარეშე მას შეიძლება შევხვდეთ ველზე, ნახევრად უდაბნო აღგილებში, ალპურ ველებზე და სხვ.

მგლის მძუნაობა მიმდინარეობს იანვარ-თებერვალში. მაკეობა 63 დღე გრძელდება. შობს მგელი 5-10 თვალაუხილავს, უსუსურ ლეკვს, რომლებსაც თვალები 9-10 დღეზე ეხილებათ.

ლეკვების აღზრდაში, განსაკუთრებით კვებაში, მონაწილეობას იღებს ხვადიც (მამა), რომელიც თავის ლეკვებს პირით უზიდავს ნანადირევს. გარდა ამისა, როდესაც ბუნაგში დაბრუნებულ ხვადს ლეკვები მიეგებებიან და თავს ეხვევიან; ულოკავენ ტუჩებს, მაშინ ხვადი კუჭიდან ამოანთხევს ხოლმე ჯერ კიდევ მოუნელებელ საკვებს, რომელსაც სჭამენ ლეკვები. ასეთგვარი „ნათხევარით“ კვება, გარდა მგლისა, ახასიათებს ზოგიერთ სხვა ცხოველსაც, როგორც მაგალითად, მელას და სხვა.

მგელი მეტად მავნებელი ცხოველია. იგი ხშირად გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის ცხოველებს ხოცავს, ვიდრე მის გამოსაკვებადაა საჭირო. დიდი რაოდენობით ანადგურებს იგი შინაურ

საქონელს — ძროხას, ცხენს, თხას, ცხვარს და სხვ.
გარდა ამისა, მისგანვე ზიანდება სანადირო-მარტოვათ
წაო ფაუნის ძვირფასი წარმომადგენლებიც, რო-
გორიც არიან, მაგალითად, ირემი, შველი და სხვ.

ყოველივე ამის გამო მგელს ებრძვიან ყველგან
და ცდილობენ მის მოსპობას, რის გამოც სპეცია-
ლური ჯილდოცაა დანიშნული ჩვენი ხელისუფლე-
ბის მიერ. ამიტომაც მგელზე ნაღირობა ნებართუ-
ლია მთელი წლის განმავლობაში.

37. ტურა (Thos aureus L.)

ტურა გარეგნული აგებულებით მიემსგავსება
შინაურ ძალლს, რომლის ერთ-ერთ წინაპართაგანა-
დაც იგი ითვლება.

ტურა გავრცელებულია კავკასიაში, ბალკანეთის
ნახევარკუნძულზე, მცირე და წინა აზიაში, თურქმე-
ნეთში, ბელუჯისტანში, ავღანისტანში, ინდოეთში,
ირანში.

საქართველოში იგი გვხვდება თითქმის ყველგან.
ბუნაგს იკეთებს ტყეში, ბუჩქნარში ან ჩალიან
ადგილებსა და მაყვლის ბარდებში.

ტურა მძუნაობს თებერვალ-მარტში. მისი მაკეო-
ბა 63 დღემდე გრძელდება, შობს 2-10 უსუსურსა
და თვალაუხილავ ლეკვებს, რომლებიც თვალებს
9-10 დღეზე იხელენ.

პირველი 3-4 თვის განმაფლობაში ტურის ლენი
კვები დედასთან რჩებიან, ხოლო შემდეგში სკოლი
დებიან მას და დამოუკიდებლად ცხოვრობენ.

ტურა მავნებელი ცხოველია. მაგრამ თავისი
მცირე ზომისა და სიმხდალის გამო ჩვენს სახალხო
მეურნეობას იგი იმდენ ზიანს ვერ აყენებს, რო-
გორც მგელი. ტურა ზოგჯერ თავს ესხმის და
იტაცებს შინაურ ფრინველებს, ანადგურებს ბოსტ-
ნეულს, ზოგჯერ ჭამს ყურძენს და სხვა ხილსაც.

ტურას სარეწაო ღირებულება არა აქვს ბეწვის
მდარე ხარისხის გამო.

38. ამიერკავკასიის მთის მელა (*Vulpes vulpes alticola* Ogn)

ამიერკავკასიის მთის მელა საკმაოდ ფართოდაა
გავრცელებული ამიერკავკასიის ტყეებში. კერძოდ
საქართველოში იგი გვხვდება მთიანი ადგილების
ტყეებში თითქმის მთელი რესპუბლიკის ფარგ-
ლებში.

ვერტიკალურად ზღვის დონეს ზევით იგი ვრცე-
ლდება 3000 მეტრამდე. ბუნავს იკეთებს სოროში.

მელას მძუნაობა მიმდინარეობს თებერვალ-მარტ-
ში. მაკეობა 56 დღემდე გრძელდება. შობს 5-6
უსუსურსა და თვალაუხილავ ლეკვს, რომლებსაც
თვალები 9-10 დღეზე ეხილებათ.

ლეკაჭიბის აღზრდაში მონაწილეობას ლებულობის
ზეადიც, ოოცელიც პირით უჭიდავს საკვებს ჰავის
ნაშიერებს, ხოლო ზოგჯერ მათ აკმევს „ნათხევარ-



სურ. 19. ამიერკავკასიის მთის მელა

საც“, რომელიც წარმოადგენს პირიდან ამონთხე-
ულს, კუჭში მყოფ და ჯერ კიდევ მოუნელებელ
საკვებს.

მელა ხალხში ცნობილია როგორც მავნებელი
ცხოველი და ამის გამო მას ყოველმხრივ დევნიან.
სინამდვილეში-კი მელა ფრთ-ერთი სასარგებლო

ცხოველთაგანია. გარდა იმისა, რომ მელა იძლევა /
ძვირფას ბეჭვს და იმ მხრივ საბჭოთა კავშირისა
ბეჭვეულ მეურნეობაში მეორე ადგილი უკავია, იგი
დიდი რაოდენობით ანადგურებს მავნე მღრღნე-
ლებს, როგორიც არიან, მაგალითად, ზაზუნები,
მემინდვრიები, თაგვები, ვირთაგვები და სხვ. ცნო-
ბილია, რომ დღელამის განმავლობაში მელა 100-
140 სხვადასხვა სახეობის მღრღნელს ანადგურებს
და ამით მინდვრის კულტურულ ნათესებს იცავს
განადგურებისაგან. ამის გამო საჭიროა მელის
დაცვა ყველგან საღაც-კი იგი ბინადრობს.

მელა ერთგვარ ზიანსაც აყენებს ჩვენს მეურნეო-
ბას შინაური ფრინველების განადგურებით, მაგრამ
ეს ზიანი სრულიად უმნიშვნელოა იმ სარგებლობას-
თან, რომელიც მას ჩვენი სახალხო მეურნეობისა-
თვის მოაქვს.

მელას ბეჭვი გამოიყენება თბილი ქუდებისა და
საყელოთა შესაკერად. ზოგ ადგილებში მელას
ხორცს საკვებად იყენებენ.

39. ამიერკავკასიის ველის მელა

(*Vulpes vulpes alpherakyi* Sat)

ამიერკავკასიის ველის მელა გავრცელებულია
აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ველებზე მტკვრისა

ჭა არაგესის დაბლობებში. საქართველოში გვხვდება /
ბა გარდაბნისა და ალაზნის ველებზე, კარის მუნიციპალიტეტის გარეული მუნიციპალიტეტის გარეული

ამ მელას ცხოვრების ნირი ისეთივეა, როგორიც ზემო აღნიშნული სახეობისა (ა/კ მთის მელასა).

40. მოშავო ვერცხლისფერი გელა

მოშავო - ვერცხლისფერი მელა ხელოვნურად შილებული ფორმაა, რომელსაც აშენებენ ზოოფერ- მებში. საქართველოში მოშავო - ვერცხლისფერ მელების საშენებია ბაკურიანში, ბოლნისის რაონში.

ძვირად ფასობს მისი ნაზბალნიანი, ხშირი და ფუნთუშა ბეწვი, რომელიც გამოიყენება საყელოების და ყელსადებისათვის.

41. ენოტისმსგავსი ძალლი


(Nyctereutes procyonoides Mats)

ენოტისმსგავსი ძალლი ფართოდაა გავრცელებული უსურიის მხარეში, ამურის მხარეში, სამხრეთი იმიერ ბაიკალეთში, აღმოსავლეთ ჩინეთში, იაპონიაში, კორეაზე.

საქართველოში ენოტისმსგავსი ძალლი აკლიატიზებულია ახმეტის რაიონში, ერწო-თიანეთში, მცხაზეთში.

შინიდორობს ტყეში, ბუჩქნარში. ბუნავს იკრება
სოროში.

მძუნაობს აღრე გაზაფხულზე. შაკეობის ხან-
გრძლიობა 63 დღემდე აღწევს. შობს 3-11 უსუ-
სურსა და თვალაუხილავ ლეპვებს, რომლებსაც
თვალები 9-დღეზე ეხილებათ.




სურ. 20. ენოტისმსგავსი ძალლი

ენოტისმსგავსი ძალლი ძვირფასი სარეწაო ცხო-
ველია. იგი იძლევა მაღალხარისხოვან ბეწვს, რო-
მელსაც იყენებენ საყელოს, თბილი ქუდის, ქურჭის

და სხვ. შესაკერად. ზოგ აღვილას ამ მტაცებლის/
ხორცს საკვებად იყენებენ. გარდა ამისა მას სარგებ
ბლობა მოაქვს მავნე მლრღნელების განადგურები-
თაც, თუმცა მის ძირითად საკვებს მაინც თევზები
და მდინარის კიბოები, ზოგჯერ მცირე ზომის ფრინ-
ველები შეადგენენ. სჭამს ივი აგრეთვე ხილსა და
ბოსტნეულსაც.

42. დინგო (Canis dingo L)



სურ. 21. დინგო

დინგო ძალლების ოჯახის ერთ-ერთი წარმომა-
დგენელია. გავრცელებულია ავსტრალიაში, სადაც
ცხოვრობს ველებსა და ბუჩქნარიან აღვილებში.

ტყვეობას ადვილად ეგუება და მრავლდება.
მისი მძუნაობა მიმდინარეობს გაზაფხულზე.
მაკეობა 63 დღემდე გრძელდება. შობს 2-6 თვალ-
აუხილავსა და უსუსურ ლეპვს, რომლებსაც
თვალები 9 დღეზე ენილებათ.

შინაურ ძალლთან და მგელთან იძლევა შთამო-
მავლობის მომცემ თაობას.

43. მურა დათვი (*Ursus arctos arctos* L.)

ხმელეთის მტაცებელთა შორის მურა დათვი
ერთერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. ზოგი-
ერთის წონა 400-600 კილოგრამამდე აღწევს.

მურა დათვი გავრცელებულია ევროპისა და
აზიის ტყიან ზოლში. არა გვხვდება სამხრეთ აღ-
მოსავლეთ აზიაში და დასავლეთ ევროპის ზოგი-
ერთ აღგილას.

ვერტიკალურად იგი ზღვის დონეს 3200 მეტ-
რამდე ვრცელდება. სარჩოს ძებნაში იგი ზოგჯერ
ტყის ზონას სცილდება და ალპურ ზონაში იჭრება.

ზამთრის დასაწყისში მურა დათვი იმალება
ბუნაგში და ეძლევა „ზამთრის ძილს“. ამ მდგომა-
რეობაში რჩება იგი აღრე გაზაფხულამდე. „ზამთ-
რის ძილის“ დროს დათვი არც არაფერსა სჭამს
და არცა სვამს. ამ ხანში იგი არსებობს შის ორგა-
ნიზმში დაგროვილი ცხიმის ხარჯზე. ამგვარად

არაა სწორი ის ამბავი, რომ თითქოს დათვი / „ზამთრის ძილის“ დროს თათს ილოკაცია და მიმდომად არსებობსო.

მურა დათვი მძუნაობს მაის-ივნისში. მაკეობა 7,5 თვემდე გრძელდება. შობს 1-2 უსუსურსა და თვალაუხილავ ბელს, რომელთაც თვალები 30 დღეზე ეხილებათ. მურა დათვი სქესობრივ სიმწიფეს 2-3 წლის ასაკში აღწევს. სრულ ზრდას ამთავრებს 10-12 წლის ასაკში. სიცოცხლის ხანგრძლიობა 30 წლამდე აღწევს, თუმცა აღნიშნულია ეგზემპლარები, რომლებსაც 50 წლამდე უცხოვრიათ.

მურა დათვი მავნებელი ცხოველია: იგი ანადგურებს სარეწაო ფაუნის ზოგიერთ ფორმას, ხშირად გამოდის ტყის სანაპირო ზოლში. თელავს და ანადგურებს სიმინდის და სხვა სახის კულტურულ ნათესებს.

დათვის ხორცი, ცხიმი საკვებად ვარგისია. მისი თბილი ქურქი გამოიყენება იატაკზე საფენად.

44. კავკასიის მურა დათვი (*Ursus arctos caucasicus* Sm.)

კავკასიაში გავრცელებულ მტაცებელ ცხოველთა შორის კავკასიის მურა დათვი ყველაზე დიდი ზომისაა.

გავრცელებულია იგი როგორც კავკასიონის
მთავარ ქედზე, ისე სამხრეთ კავკასიონზე. 
რობს ტყიან ზოლში.

ცხოვრების ნირი ისეთივეა როგორიც ზემო-
აღნიშნული მურა დათვისა (იხ.).

45. ჰიმალაის დათვი (Selenarctos tibetanus Cuv)

ჰიმალაის დათვი გავრცელებულია ცენტრალური
და სამხრეთი აზიის ტყეებში. საბჭოთა კავშირის
ფარგლებში გვხვდება შორეულ აღმოსავლეთში.

ჰიმალაის დათვისათვის დამახასიათებელი სხეუ-
ლის შავი შეფერადება და ყელზედ დიდი თეთრი
ხალი.


ჰიმალაის დათვი ტიპიური ტყის ცხოველია.
ბუნაგს იკეთებს ხის ფულუროში. როგორც ჩანს,
ზოგიერთი მკვლევარის დაკვირვებით, ზამთრის
დასაწყისში იგი იმაღება ხის ფულუროში სადაც
„ზამთრის ძილს“ ეძლევა.

ჰიმალაის დათვის ძირითად საკვებს მცენარეუ-
ლი პროდუქტები შეადგენენ, მაგრამ ზოგჯერ თავს
ესხმის ცოცხალ ცხოველებსაც, განსაკუთრებით
შვლებს, როჭოს, ქრონს, ხოლო ზოგჯერ თავს
ესხმის შინაურ საქონელსაც.

46. თეთრი დათვი (Thalassarctos maritimus Phipps)



თეთრი დათვი თანამედროვე მტაცებელ ცხოველებს შორის ყველაზე დიდი ზომის წარმომდგენელია. მისი წონა 700-800 კილოგრამამდე აღწევს.



სურ. 22. თეთრი დათვი

თეთრი დათვი გავრცელებულია ევრაზიის ტუნდრის სანაპირო ზოლში და ჩრდილო ყინულოვანი ზღვის კუნძულებზე და ყინულის მთებზე.

თეთრი დათვის ძირითად საკვებს სელაპენ/შეადგენენ; სჭამს იგი აგრეთვე ზღვის სანაპიროებზე, მობუდარ ფრინველებსა და მათ კვერცხებს.

თეთრი დათვი მძუნაობს გაზაფხულის დამლევს, უფრო მეტად ივნისში. მისი მაკეობა 7 თვემდე გრძელდება. შობს 1-2 უსუსურსა და თვალაუხილავ ბელებს, რომლებიაც თვალები 30 დღეზე ეხილებათ. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 2 წლის ასაკში. ცოცხლობს 30 წლამდე.

თეთრი დათვი ნიადაგზე მოძრაობს ბაჯბაჯით და მოუხეშავად, ხოლო წყალში დასცურავს საკმაოდ სწრაფად — საათში დაახლოებით 4-6 კილომეტრის გაცურვა შეუძლია.

შორეული ჩრდილოეთის მცხოვრებნი იყენებენ თეთრი დათვის ხორცს, ცხიმს; ტყავი საკმაოდ ხშირ და გრძელბეჭვიანია და ძვირადაც ფასობს.

47. მაჩვლარბი (*Hystrix hitrsutirostris* Brandt)

მაჩვზლარბი საშუალო ზომის მლრღნელია. მისი სხეული დაფარულია გრძელი და მკვრივი რქოვანი ეკლებით.

მაჩვზლარბი გავრცელებულია ამიერკავკასიის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში, კერძოდ ლენქო-

რანის რაიონში, ჩრდ. ირანში, თურქენეთში
მცირე აზიაში.

მაჩვზლარბი ბინადრობს უდაბნოებსა ლა ნახევ-
რად უდაბნო ადგილებში. მისი ვერტიკალური გა-
ვრცელების ზედა საზღვარი ტყის ზონის ქვედა
ხაზს არა სცილდება.

მაჩვზლარბი მძუნაობს გაზაფხულზე. მაკეობა 65
დღემდე გრძელდება. შობს 2-3 ნაშიერს, რომელთა
სხეული პირველ დღეებში დაფარულია ხოლმე
ნაზი აგებულების რქოვანი ნემსებით, რომლებიც
ცხოველის ზრდასთან ერთად სწრაფად მკვრივდე-
ბიან. ჩვენი ზოოპარკის პირობებში მაჩვზლარბი
ყოველწლიურად მრავლდება.

მაჩვზლარბი მავნე ცხოველთა ჯგუფს მიეკუთვ-
ნება. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით ანადგუ-
რებს კულტურულ ნათესებს.

მაჩვზლარბის ხორცის მრავალ ადგილას იყენე-
ბენ საკვებად. მისი ნემსებისაგან ამზადებენ კალმის
ტარებს, სათამაშოებს და სხვ.

48. ზღვის გოჭი (Cavia porcellus L)

ზღვის გოჭი მცირე ზომის მლრღნელია.

გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში. ზღვის
გოჭი მოშინაურებული სალაბორატორიო ცხოვე-
ლის სახით განსახლებულია მთელ მსოფლიოში.

წლის განმავლობაში 2-3 ჯერ მრავლდება, მაგრა კეობის ხანგრძლიობა 63 დღემდე აღწევს. თანთოლებულ ჯერზე შობს 3-6 თვალზილულსა და ბალნით შემოსილ ნაშიერს. 6 თვის ასაკში სქესობრივად მწიფდება და გამრავლების უნარი შესწევს. ზღვის გოჭი ცოკხლობს 10 წლამდე.

გამოიყენება ზღვის გოჭის ბეწვი, რომლისგან მდარე ხარისხის ქუდებსა და საყელოებს ჰქონდება. ზოგ ადგილას ზღვის გოჭის ხორცის საკვებად იყენებენ.

ზოოპარკში იგი იკვებება მარცვლეულით, ბოსტნეულითა და ხილით.

49. შინაური კროლიკი (*Oryctolagus cuniculus domesticus*)

კროლიკი ბუნებრივ პირობებში გავრცელებულია დასავლეთი ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ჩრდილო აფრიკაში.

გარდა ამისა ხელოვნურად იგი აკლიმატიზებულია დასავლეთ ევროპის მრავალ ადგილას, ოდესის ოლქში და აკსტრალიაში.

კროლიკი მოშინაურებული ცხოველის სახით გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. მას ინახავენ სპეციალურ საკროლიკე ზოოფერმებში. კროლიკს საკმაოდ დიდი სარეწაო მნიშვნელობა აქვს. იგი იძლევა კარგი ლირსების ხორცის, ძვირფას ბეწვს,

რომელისგანაც ჰქონდება თბილ ქუდებს, საყელოებს,
ქურქებს და სხვ.

საქართველო
სამეცნიერო კვლევითი საზოგადოები

გარდა ყოველივე ამისა კროლიკი გამოიყენება
სალაბორატორიო ცხოველის სახით, რომელზედაც
ატარებენ სამეცნიერო-კვლევითი სახის ცდებს.

კროლიკი წლის განმავლობაში მრავლდება 3-4
ჯერ. მაკეობა გრძელდება 28-30 დღემდე. თითო-
ეულ ჯერზე შობს 2-8 ბაკიას, რომელიც ტიტვე-
ლები და თვალაუხილავნი იბადებიან. თვალები ეხი-
ლებათ და ბალნით იმოსებიან რამდენიმე დღის
შემდეგ. სქესობრივ სიმწიფეს 6 თვის ასაკში აღწევს.
ცოცხლობს 10 წლამდე.

50. ამიერკავკასიის კურდლელი (*Lepus europaeus cyrensis*)

ამიერკავკასიის კურდლელი ფართოდაა გავრცე-
ლებული ამიერკავკასიაში. საქართველოს ფარგლებ-
ში იგი გვხვდება თითქმის ყველგან. ბინალრობს
იგი ტყეებში, ბუჩქნარებში, მთებზე, ველებზე. ზოგ-
ჯერ ბინავდება სოფლის განაპირასაც—კალოებზე,
ვენახში, ხილის ბალებში და სხვ.

კურდლელი წლის განმავლობაში სამჯერ მრავლდე-
დება. მისი მაკეობა 53 დღე გრძელდება. თითოეულ
ჯერზე შობს 2-3 ბაკიას, რომელიც ბალნით შე-


მოსილი და თვალხილული იბადებიან. სქესობრივი
სიმწიფეს 6 თვის ასაკში ძლიერებს.

კურდლელი ჩვენს სახალხო მეურნეობას საგრძ-
ნობ ზიანს აყენებს ნორჩი ნარგავების, ბოსტნეუ-
ლისა და მინდვრის ნათესების განადგურებით. მიუ-
ხედავად ამისა, კურდლელი არ შეიძლება ჩაითვა-
ლოს მავნებელ ცხოველად. იგი სახალხო მეურნეო-
ბას საკმაო სარგებლობას აძლევს. მისი ხორცი კარ-
გი ლირსებისაა. ასევე კარგი ლირსებისაა მისი ბეჭ-
ვიც, რომელიც ბეჭვეულ სარეწაოში გამოიყენება:
მისგან ჰკერავენ თბილ ქუდებს, ქურქებს და სხვ.

51. ნუტრია (Moypotamus coypu Mol)

ნუტრიას სხვაგვარად კოიპუს ან ჭაობის თახვს
უწოდებენ. მოიპოვება იგი სამხრეთ ამერიკაში, კერ-
ძოდ ბრაზილიის, არგენტინის, ჩილისა და ურუ-
გვაის ტბების სანაპიროებსა და ჭაობიან აღგილებ-
ში. როგორც ძვირფასი სარეწაო ბეჭვეული ცხო-
ველი იგი აკლიმატიზებულია სხვადასხვა ქვეყნებ-
ში. კერძოთ სსრ კავშირში იგი აკლიმატიზებულია
შუა აზიასა და დასავლეთ საქართველოში (სადაც
იგი განსახლებულია აფხაზეთიდან აჭარამდე და შა-
ვი ზღვის სანაპიროდან ზესტაფონის რაიონამდე).

ნუტრიის ძვირფასი ბეჭვი გამოიყენება ობილი /
ქუდების, საყელოების, ქურქების, შესაკერალისთვის
ადგილას ნუტრიის ხორცს იყენებენ საკვებად.



სურ. 23. ნუტრია]

ნუტრია წელიწადში ერთხელ მრავლდება. მძუ-
ნაობს იგი გაზაფხულზე. პისი მაკეობა 100 დღემდე

გრძელდება. შობს 2-6 თვალზილულსა და ნაზი/ზალნით შემოსილ ნაშიერს. სქესობრივ სიკრიტიკული 1 წლის ასაკში აღწევს. ცოცხლობს 20 წლამდე.

ზოოპარკში საკვებად ეძლევა მარცვლეული, ბოსტნეული, პური, ხის ტოტები.

52. რეზუსი (*Macacus rhesus* L)

რეზუსს სხვანაირად მაკაკს ან ბუნდერს უწოდებენ. გავრცელებულია ინდოეთში. ბინადრობს ტყეში მრავალრიცხვანი ხროვის სახით. თითოეულ ხროვაში ზოგჯერ 100 მეტი სულია ხოლმე გაერთიანებული. ვერტიკალურად ზღვის დონედან 2000 მეტრამდე აღწევს.

რეზუსს ლოკებსა და კბილებს შეა მოეპოვებათ განსაკუთრებული ლოკისუკანა პარკები, რომლებშიც ინახავს საკვების მარაგს (მცირე ხნით). ბუნებრივ პირობებში რეზუსი იკვებება ხილით, ბოსტნეულით, მწერებით და სხვ. ადგილობრივ მეურნეობას საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს დიდი რაოდენობით შაქრის ლერწმის პლანტაციების, ხილის და ბოსტნეულის განადგურებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინდოელები რეზუსს არა სდევნიან, რადგან მას „საღვთო“ ქმნილებათა სთვლიან.



ସ୍ତ୍ରୀ. 24. ହୃଦୟସି

რეზუსი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს /
მძუნაობს. მისი მაკეობა 5,5 თვემდე გრძელდება, შობს ერთ ნაშიერს. სქესობრივ სიმწიფეს 3 წლის
ასაკში აღწევს. ცოცხლობს 12 წლამდე.

ზოოპარკში საკვებად ეძლევა პური, რძე, ტკბილი ჩაი, კვერცხი, მზესუმზირა, თხილი, ხილი, სტაფილო, ხახვი, მოხარშული მაკარონი, კარტოფილის პიურე და სხვ.

53. ლაპუნდერი (Nemestrinus nemestrinus L)

ლაპუნდერი მცირე ზომის მაკაკის მონათესავე მაიმუნია, რომელიც ცნობილია აგრეთვე ლორისებრი მაიმუნის სახელითაც. დამახასიათებელია რამოდენიმედ წინ წამოწეული ყბები.

ლაპუნდერი გავრცელებულია ტენასარიმში, ბირმაში, კ. ბორნეოსა და კ. სუმატრაზე. ბინადრობს ულრანსა და გაუვალ ტყეებში.

ლაპუნდერი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მძუნაობს. მისი მაკეობა 5,5 თვემდე გრძელდება. შობს ერთ ნაშიერს. სქესობრივ სიმწიფეს 3 წლის ასაკში აღწევს.

ლაპუნდერი რეზუსთან იძლევა პიბრიდს.

ზოოპარკში საკვებად იგივე პროდუქტები ეძლევა რაც რეზუსს.



სურ. 25. ლაპუნდერი

54. პამადრილი (Papio hamadryas L.)




ჰამადრილი პავიანების ოჯახის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. სხვა პავიანებისაგან განსხვავებით ხვადი ჰამადრილის სხეულის წინა ნაწილი დაფარულია გრძელი და ნაზი ბალნით, რომელიც ფაფარივითაა. დამახასიათებელია მისთვის აგრეთვე მკვეთრი წითელი ფერის საჯდომი კორძები, რომლებიც ხვადს უფრო მკვეთრად აქვს გამოხატული, ვიდრე ძუს.

ჰამადრილი გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში (ნუბია, აბისინია) და სამხრეთ არაბეთში.

ადგილობრივ მოსახლეობას ჰამადრილი საგრძნობ ზიანს აყენებს შაქრის ლერწმის პლანტაციების, ხილის, ბოსტნეულისა და სხვა სახის კულტურული ნათესების განადგურებით.

ჰამადრილი მძუნაობს წლის განმავლობაში სხვა-დასხვა დროს. მისი მაკეობა 5,5 თვემდე გრძელდება. ზობს ერთ ნაშიერს, რომლის აღზრდაზე გულმოდგინეთ ზრუნავს დედა. სქესობრივად 3 წლის ასაკში მწიფდება. მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა 25 წლამდე აღწევს.


ზოოპარკის პირობებში საკვებად ეძლევა იგივე პროდუქტები, რომლებიც აღნიშნულია რეზუსისა-თვის, მხოლოდ გაორკეცებული რაოდენობით.



ସ୍ଟ୍ରୀ. 26. କାମାଗ୍ରିଲ୍ଲିକ

55. კაპუცინი (Cebus capucinus Erx)

კაპუცინი ცხვირფართე მაიმუნების წარმოშად-
გენელია.



სურ. 27. კაპუცინი

კაპუცინი გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში
დაწყებული ბაჰიიდან ვიდრე კოლუმბიამდე.

ბინადრობს ულრან ტყეში, სადაც იგი თითქმის
მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხიდან არ ჩაძირდის ნიადაგზე.

კაპუცინისათვის დამახასიათებელია გრძელი და
მოსაჭიდებელი კუდი, რომელსაც იგი ხეზე ძრომის
დროს მეხუთე ხელის სახით იყენებს.

ადგილობრივ მოსახლეობას კაპუცინი საგრძნობ ზიანს აყენებს მინდვრისა და საბალო მეურნეობის კულტურულ ნათესების განადგურებით.

კაპუცინი ტყვეობას ადვილად ეგუება და მრავლდება კიდეც. მძუნაობს იგი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს. მისი მაკეობა გრძელდება 5,5 თვემდე. შობს ერთ ნაშიერს. საში წლის ასაკში მას გამრავლების უნარი შესწევს, ხოლო ცოცხლობს იგი 25 წლამდე.

ზოოპარკის პირობებში საკვებად ეძლევა იგივე პროდუქტები რომლებიც აღნიშნულია რეზუსისათვის.

56. არარაუნა (Ara ararauna L.)

თუთიყუშებს შორის არარაუნა ერთერთი უდიდესი წარმომადგენელია. გავრცელებულია იგი სამხრეთ ამერიკაში, სადაც ბინადრობს ულრან ტყებში. მისი ვერტიკალური გავრცელების საზღვარი

ზღვის დონეს ზევით 3500 მეტრამდე აღწევს. ბუ-
დეს იკეთებს მაღალი ხის ფულუროში.



სხვა თუთიყუშებისაგან განსხვავდება მით, რომ
მას მეტად მკრივი, სქელი, გრძელი და მოკაუჭე-
ბული ნისკარტი აქვს.

ფეხის თითებიდან ორი წინაა მიმართული, ხო-
ლო ორი—უკან, რითაც ხის ტოტზე ჯდომა და
მოჭიდება უადვილდება.

არარაუნა დებს 2-3 კვერცხს, კრუხობას 25 დღემ-
დე ანდომებს. ბარტყები იჩეკებიან ტიტვლები და
თვალაუხილავი. ბარტყების აღზრდისათვის ზრუ-
ნავს ორივე მშობელი. ერთი წლის ასაკში არარაუ-
ნა მრავლდება. მისი სიცოცხლის ხანძგრძლიობა
100 წელს აჭარბებს.

საყურადღებოა, რომ არარაუნა, ისევე როგორც
სხვა სახეობის თუთიყუშები ადვილად ეჩვევიან
სიტყვების, ზოგჯერ მთელი წინადადების გამოთ-
ქმას.

ზოოპარკის პირობებში არარაუნას საკვებად
ეძლევა პური, ქერი, შვრია, კანაფის თესლი, სი-
მინდი, თხილი, ვაშლი, მსხალი (აგრეთვე სხვა
სახის ხილი), სტაფილო და სხვ.

57. ამაზონის თუთიყუში (Amazona amazonica L)



ამაზონის თუთიყუშის სხვაგვარად მწვანე თუთიყუშსაც უწოდებენ. იგი გავრცელებულია სამხრეთ ამერიკის ჩრდილო ნაწილში, სადაც ულრანტყებში ბინადრობს მრავალრიცხოვანი გუნდების სახით.

ბუდეს იკეთებს ხის ფულუროში, რომელშიც დებს 3-4 კვერცხს. გამოჩეკვა 22 დღემდე გრძელდება, რის შემდეგაც ტიტველი, თვალაუხილავი და უსუსური ბარტყები იჩეკებიან, რომელთა აღზრდაზე ორივე მშობელი ზრუნავს.

ამაზონის თუთიყუში აღვილად ეჩვევა ტყვეობას და მალე სწავლობს არა მატო ცალკეული სიტყვების გამოთქმას, არამედ მთელი წინადადების გამოთქმასაც.

საკვების შემადგენლობა და რაოდენობა იგივეა, რაც არარაუნასი.

58. ღილი ჰვითალქოჩირა კაკადუ (Cacatua galerita Lath)

დიდი ჰვითალქოჩირა კაკადუ ერთ-ერთი უდიდესი თუთიყუშთაგანია. მისი სამშობლოა ავსტრა-6. თბილისის ზოოპარკი

ლია და კუმული ტასმანია, სადაც იგი ბინადრობს
ულრან ტყეებში.



სურ. 28. დიდი ყვითელქოჩირა კაკადუ
დამახასიათებელია თეთრი შეფერადების სხეუ-
ლი და ყვითელი და გრძელი ქოჩირი.

გაზაფხულზე დებს 3-4 კვერცხს. კრუზობის /
25 დღემდე გრძელდება. იჩეკება უსუსური, თვალის
უხილავი და ტიტველი ბარტყი, რომლის აღზრდა-
ზე ორივე მშობელი ენერგიულად ზრუნავს. ცოც-
ხლობს კაკადუ 120 წლამდე.

საკვების შემადგენლობა და რაოდენობა იგივეა,
რაც არარაუნასთვის იყო აღნიშნული.

59. საყელოიანი თუთიყუში (*Palaeo- rnis torquata* Bodd)

საყელოიანი თუთიყუში გავრცელებულია ინ-
დოეთში (ბენგალიიდან ნეპალამდე და კაშემირამდე
და ინდიდან ტენასარიმამდე) და კ. ცეილონზე. ბი-
ნადრობს ტყეებში, ბალებში და სხვ. ზოგჯერ ბუ-
დეს იკეთებს სოფლის ან ქალაქის ქუჩებში ხეებზე,
სახლის სხვენში და სხვ.

ადგილობრივ მოსახლეობას საყელოიანი თუ-
თიყუში საგრძნობ ზიანს აყენებს მინდვრისა და
ბოსტნეული ნათესებისა და ხილის განადგურებით.
მიუხედავად ამისა ინდოეთში ამ ფრინველს არა
სდევნიან.

ტყეობას ადვილად იტანს და ადვილად იშვ-
რთნება. მალე სწავლობს ცალკეული სიტყვების
(ზოგჯერ მთელი წინადადების) გამოთქმას.

საყელოიანი თუთიყუში სდებს 3-4 კვერცხს/
გამოჩეკვა გრძელდება 22 დღემდე. ბარტყების,
აღზრდაში მონაწილეობას იღებს ორივე მშო-
ბელი.

ზოოპარკში საკვებად ეძლევა პური, მზესუმზი-
რა, კანაფის თესლი, იადონის მარცვალი, შვრია,
ბოსტნეული, ხილი, თხილი.

60. ხუჭუჭა თუთიყუში (*Melopsittacus undulatus* Shaw)

ერთ-ერთი ყველაზე მცირე ზომის თუთიყუშთა-
განია. გავრცელებულია ავსტრალიის ტყეებში, სა-
დაც იგი მრავალრიცხოვანი გუნდების სახით ბი-
ნადრობს.

ჩვეულებრივად ხუჭუჭა თუთიყუში მწვანე ფე-
რისაა, მაგრამ ხელოვნურად მიღებულია ყვითელი,
ცისფერი, მოთეთრო და სხვ. შეფერადებისაც.

ზოოპარკის პირობებში ხუჭუჭა თუთიყუში
წლის განმავლობაში 2-3 ჯერ მრავლდება.
თითოეულ ჯერზე დებს 2-3 კვერცხს. გამო-
ჩეკვის ხანგრძლიობა 17 დღემდე გრძელდება.
კრუხად მჯდომარე დედალს მამალი უზიდავს

და აჭმევს საკვებს. ბარტყები უსუსური კებიან. მათ ალზრდაში მონაწილეობას ორივე მშობელი. საყურადღებოა, რომ პირველ ხანებში მშობლები თავის ბარტყებს ჰქვებავენ ჩი-ჩახვიდან ამოღებულ განსაკუთრებული „ნათხევა-რით“ (რომელსაც ფრინველის „რძეს“ უწოდებენ); ხოლო როდესაც ისინი წამოიზრდებიან ჰქვებავენ ჩვეულებრივი უხეში საკვებით. 8-9 თვის ასაკში სქესობრივად მწიფდებიან და გამრავლების უნარი შესწევთ.

ზოოპარკის პირობებში საკვებად ეძლევა ფეტ-ვი, კანაფის თესლი, იადონის მარცვალი, შვრია, პური, ხილი, მზესუმზირა.

61. თვალჭუმი (Oedicnemus oedicnemus L.)

თვალჭუმია ფართოდაა გავრცელებული სამხ-რეთ ევროპაში, ჩრდილო აფრიკასა და სამხრეთსა და დასავლეთ აზიაში. საქართველოში ბინადრობს მრავალ ადგილას და საკმაოდ მრავალრიცხოვნა-დაც. ბინადრობს ველებზე და ნახევრად უდაბნო ადგილებში.

ბუდეს იკეთებს ნიადაგზე. დებს 2 კვერცხს. გამოჩეკვა 15 დღემდე გრძელდება. კრუხად ჯდე-
85

ზა დედალი; ხოლო მამალი ბუდის შახლობლად
დგება ყარაულად. ახლად გამოჩეკილი წიწილებით
ტანის გაშრობისთანავე, მშობლებს მიჰყავთ სხვა-
გან და ბუდეს აღარ უბრუნდებიან.

თვალჭყეტია იკვებება ჭიებით, მწერებით, ლო-
კოკინებით, ბაყაყებით, ხვლიკებით, თაგვებით,
ზაზუნებით და სხვ.

მავნე მღრღნელებისა და მწერების განადგუ-
რებით სახალხო მეურნეობისათვის სარგებლობა
მოაქვს.

თვალჭყეტია სანადირო-სარეწაო ობიექტია.

62. მელოტა (*Fulica atra* L.)

მელოტა ფართოდაა გავრცელებული მთელს
ევროპასა და აზიაში. ზამთარს ატარებს ჩრდილო
აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში,
თუმც ამ უკანასკნელში მრავალრიცხოვანად ბუ-
დობს კიდეც. ვერტიკალურად ვრცელდება ზღვის
დონიდან 2000 მეტრამდე.

მელოტა ბინადრობს ჭაობიან ადგილებში,
რომელიც ლერწმითაა ხოლმე დაფარული. დედა
დებს 10-17-მდე კვერცხს. გამოჩეკვას დაახლოე-
ბით 21 დღე სჭირდება. კვერცხებზე კრუხად დე-
დალი და მამალი მორიგეობით ჯდებიან. ბარტ-
ყების აღზრდაზე ზრუნავს ორივე მშობელი.

მელოტა სანაღირო-სარეჭაო ობიექტია. 
ხორცი გამოიყენება საკვებად, ხოლო მაღალხარის-
ხოვანი ბუმბული სათანადო გამოყენებასა პოუ-
ლობს.

63. ხონთქრის ქათამი (Porphyrio poli- ocephalus Lath)

ხონთქრის ქათამი ფართოდაა გავრცელებული
სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, კასპიის ზღვის სანა-
პიროზე, სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში და ჩრდი-
ლო აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მრავალ
ადგილას; ბინადრობს ჩალიანსა და ლერწმიან ად-
გილებში, ჭაობებსა და ტბების სანაპიროებში.

ხანთქრის ქათმისათვის დამახასიათებელია მა-
ლი და გრძელთითებიანი ფეხები. სხეული მუქი
ლურჯი ფერისაა; ხოლო თავზე აქვს მუქი წითე-
ლი ხალი.

დედალი ადრე გაზაფხულზე დებს 3-4 კვერ-
ცხს. გამოჩეკვა 28 დღემდე გრძელდება.

ხონთქრის ქათმის ძირითად საკვებს შეადგენენ
თევზები, ბაყაყები, მარცვლეული.

64. ქავკასიის ქაკაბი (Alectoris caucasicus Susch)



ქავკასიის ქაკაბი ფართოდაა გავრცელებული ქავკასიაში, ჩრდილოეთ ირანში და მცირე აზიაში.

საქართველოში მოიპოვება ქავკასიონზე, ცივ-გომბორისა და თრიალეთის ქედებზე. ვერტიკალურად ვრცელდება ზღვის დონეს ზევით 2000 მეტრამდე.

ქაკაბი ბუდეს იკეთებს კლდოვან ან ბუჩქებით დაფარულ ადგილებში. დედალი ადრე გაზაფხულზე დებს 10-14 კვერცხს. გამოჩეკვა 24 დღემდე გრძელდება. წიწილა იმდენად სრულყოფილი იჩეკება, რომ კვერცხიდან გამოსვლისთანავე დარბის (ზოგ შემთხვევაში ჯერ კიდევ ნაჭუჭი ტანზე აქვს ხოლმე და სირბილის დროს სცვივა).

ქაკაბს გვერდებზე წითელი ფერის ზოლები ემჩნევა. მას ფეხებიცა და ნისკარტიც აგრეთვე წითელი ფერისა აქვს.

ქაკაბი საქართველოს ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელია. გამოიყენება მისი კარგი ლირსების ხორცი. საერთო რაოდენობის სიმცირის გამო საჭიროა მისი დაცვა ყველგან.

ზოოპარკში საკვებად ეძლევა მარცვლეული.

65. მწყერი (Coturnix coturnix L.)

მწყერი ქათმების ოჯახის წარმომადგენელობული ფართოდაა გავრცელებული ევროპაში და აზიის უმეტეს ნაწილში. ზამთარს ატარებს ჩრდილო აფრიკასა და სამხრეთ არაბეთში.

საქართველოში მოიპოვება თითქმის ყველგან.

ბინადრობს ველ-მინდვრებზე, სტეპებში. ხშირად ვხვდებით ყანებში.

ბუდეს იკეთებს ნიადაგზე. დებს 5-15 კვერცხს გამოჩეკვა გრძელდება 21 დღემდე. წიწილების აღზრდაზე ზრუნავს დედა. მწყერის ხორცი, განსაკუთრებით შემოდგომაზე, საკმაოდ მსუქიანია. მწყერი ჩვენი სანადირო-სარეწაო ფაუნის მნიშვნელოვანი ობიექტია.

66. კავკასიოს ხოხობი (Phasianus colchicus L.)

კავკასიის ხოხობი ფართოდაა გავრცელებული კავკასიაში, ჩრდ. ირანში. კერძოდ საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას (კახეთში, გარდაბნის რაიონში, ბორჯომის ხეობაში, რიონის ხეობაში, აფხაზეთში, სამეგრელოში).

ვერტიკალურად ხოხბის გავრცელების საზღვარი ზღვის დონის ზევით 750 მეტრამდე აღწევს.

ბინადრობს ბუჩქნარში, ტკეში; ზოგჯერ  დეს იკეთებს ბალებსა და ვენახებში.

გაზაფხულზე ხოხობი ნიადაგზე იკეთებს უძრა-
ლო ბუდეს, რომელშიც დებს 10-12 კვერცხს.
კრუხობა 21 დღემდე გრძელდება. კრუხობს და
წიწილების ალზრდაზე ზრუნავს მხოლოდ დედა-
ლი.

ხოხის ძირითად საკვებს შეადგენს მარცვლეუ-
ლი, ჭიები, მწერები, ლოკოკინები და სხვ.

ხოხობი ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგე-
ნელია, რის გამოც იგი დაცულია ყველგან.

67. კავკასიის შურთხი (*Tetraogallus caucasicus* Pall)

შურთხს სხვანაირად მთის ინდაურსაც უწოდე-
ბენ. იგი მოიპოვება კავკასიონის მთავარი ქედის
ალპურ ველებზე.

შურთხი ნიადაგზე იკეთებს ბუდეს, რომელიც;
ჩვეულებრივ ოდნავაა ხოლმე თივით მოფენილი.
იგი დებს 15-20 კვერცხს. კრუხობა 23 დღემდე
გრძელდება. კრუხად ჯდება და წიწილების ალზრდა-
ზე ზრუნავს ორივე მშობელი—დედალიც და მამა-
ლიც. შურთხის წიწილები იმდენად სრულყოფილი
იჩეკებიან, რომ გამოჩეკისთანავე ისინი დედას
თანსდევენ და სარჩოს ეძებენ.


შურთხის ძირითად საკვების ალბური გელუბის
მცენარეთა თესლები, ნაყოფები ჭიები, მწერები,
მატლები, რბილსხეულიანები შეადგენენ. ზოოპარკ-
ში საკვებად ეძლევა მარცვლეული, პური, ბალა-
ლახი, ხახვი და სხვ.

შურთხი ჩვენი ფაუნის ძვირფასი სანადირო-
სარეწაო ობიექტია. ამიტომ მას იცავენ ყველგან,
სადაც კი იგი გვხვდება.

68. ფარშავანგი (Pavo cristata L.)

ფარშავანგი ქათმების ოჯახიდან ერთერთი ლა-
მაზი წარმომადგენელია.

ფარშავანგი გავრცელებულია ინდოეთში, სა-
დაც იგი უდაბურ ტყეებში ბინადრობს.

მოშინაურებული დეკორაციული ფრინველის
სახით იგი განსახლებულია მთელ მსოფლიოში, სა-
დაც მას პარკებში ინახავენ. იგი ჩვენს კლიმატურ
პირობებს ადვილად იტანს. თავისი ორგანიზმი-
სათვის უზიანოდ შეუძლიან იცხოვროს – 40°C პი-
რობებში ც-კი.

მამალი შეუერადებულია მკვეთრი ფერებით,
რომლებშიც სჭარბობს ლურჯი და მწვანე. მამ-
ლისთვის განსაკურებით დამახასიათებელია გრძე-
ლი კუდი, რომელსაც ტიხტიხის დროს მარაოსა-
ვით შლის. კუდის ბუმბულები გრძელია ზამთრო-
ბით, ხოლო ზაფხულობით-კი იგი სცვივათ. დედლები

მარტივი შეფერადებისანი არიან და არც გრძელი
კუდი მოეპოვებათ.

ეროვნული
ბიბლიოთი

გაზაფხულზე დედალი დებს 10-15 კვერცხს.
გამოჩეკვა 28 დღემდე გრძელდება. კრუხად ჯდება
და წიწილების აღზრდაზე ზრუნავს მხოლოდ დე-
დალი. ცოცხლობს ფარშავანგი 15 წლამდე.

ფარშავანგის ხორცი და კვერცხი გამოიყენება
საკვებად, ხოლო ბუმბულს, განსაკუთრებით კი
კუდისას, იყენებენ მოსართვებად.

69. ციცარი (*Numida meleagris L*)

ციცარი ქათმის ოჯახის წარმომადგენელია. მი-
სი სამშობლოა ჩრდილო დასავლეთი აფრიკა, საი-
დანაც მოშინაურებული ფრინველის სახით იგი გან-
სახლებულია მთელ მსოფლიოში. ციცარს ამრავ-
ლებენ მისი ხორცისა და კვერცხის გამოიყენების
მიზნით.

გაზაფხულზე ციცარი დებს 10-15 კვერცხს.
გამოჩეკვა 21 დღემდე გრძელდება. კრუხად ჯდება
და წიწილების აღზრდაზე ზრუნავს დედალი.

70. გარეული მტრედი (*Columba livia* *Briss*)

გარეული მტრედი ფართოდაა გავრცელებული
ევროპაში, აზიაში და ჩრდილო აფრიკაში. კერ-
92

ძოდ საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან,
გარდა მაღალ მთიანი ადგილებისა.

სარიცხულო
გიგანტი

მოშინაურებელი ფრინველის სახით იგი განსახ-
ლებულია მთელ მსოფლიოში.

გაზაფხულზე დედა მტრედი დებს 2-3 კვერცხს.
კრუხობა 17 ღლემდე გრძელდება. მტრედის ხუნ-
დები თვალაუხილავი და ტიტველები იჩეკებიან.
ხუნდების აღზრდაზე ზრუნავს ორივე მშობელი.
პირველ ხანებში მშობლები ხუნდებს აჭმევენ ჩიჩახ-
ვიდან ამონთხეულ ხაჭოსებურ ნივთიერებას — „ნათ-
ხევარს“, რომელსაც ფრინველების „რძეს“ უწოდე-
ბენ. ხოლო შემდეგში უზიდავენ და აჭმევენ ჭიებს,
მწერის მატლებს და სხვ.

გამოჩეკიდან ორი კვირის შემდეგ ხუნდები ბუმ-
ბულით იმოსებიან, ხოლო ოთხი-ხუთი კვირის ასაკ-
ში უკვე ფრენას იწყებენ მშობლებთან ერთად.

მტრედზე ნაღირობენ კარგი ლირსების ხორცის
გამო.

71. ჭინაური მტრედი (*Golumba domestica L.*)

შინაური მტრედი მოიპოვება მთელ მსოფლიო-
ში. მიღებულია მრავალი სხვადასხვა გვარი ჯიში.
გვხვდებიან განსხვავებული შეფერადებისა (თეთ-
რი, შავი, მურა, კრელი და სხვ.).

ცხოვრების ნირი ისეთივეა, როგორიც გარეული
ლი მტრედისა.

ნარინჯის
გვიპირისი

72. გვრიტი (Turtur turtur L)

გვრიტი მტრედების ოჯახის წარმომადგენელია. ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, აზიაში და ჩრდილო აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას. ბინადრობს ტყის სანაპირო ზოლში. საკვების მოსაპოვებლად გამოდის მინდვრებში.

ბუდეს იკეთებს ხეებზე. დებს 2-3 კვერცხს. გამოჩეკვა 18 დღემდე გრძელდება. ბარტყები ტიტვლები, თვალსუხილავი და მეტად უსუსურნი იჩეკებიან. ბარტყების აღზრდაზე ზრუნავს ორივე მშობელი.

გვრიტის ხორცი გამოიყენება საკვებად.

73. გარეული იხვი (Anas platyrhynchos L)

გარეული იხვი ფართოდაა გავრცელებული მთელს ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, ჩრდილო აფრიკაში და ჩრდილო ამერიკაში.

საქართველოში გარეული იხვი ბინადრობს თითქმის ყველგან, ტბების, ჭაობებისა და დიდი მდინარეების მახლობლად.

ვერტიკალურად გარეული იხვი ზღვის დონედან 2000 მეტრამდე აღწევს.

გასაფხულზე დედალი დაახლოებით კვერცხსა დებს. გამოჩეკვა 26 დღემდე გრძელდება. ჭუკები გამოჩეკიდან რამდენიმე საათის შემდეგ უკვე დასცურავენ წყალში დედასთან ერთად. საცურადღებოა, რომ ძნელად გასასვლელ ადგილებში დედას თავისი ჭუკები ნისკარტით გადაჰყავს ხოლმე აღგილიდან აღგილზე. ცოცხლობს 15 წლამდე.

გარეული იხვი გაზაფხულზე ბუდობის ადგილზე მიფრინავს სხვა ფრინველებზე აღრე, ხოლო დასაზამთრებლად უკან მიფრინავს ყველაზე გვიან. მიმოფრენის დროს გარეული იხვები მრავალრიცხოვანი გუნდების სახით იკრიბებიან.

გარეული იხვი ჩვენი შინაური იხვის ერთ-ერთი წინაპართაგანია. შინაურ იხვთან იძლევა თაობას.


გარეული იხვი სანადირო-სარეწაო ობიექტს წარმოადგენს. გამოიყენება მისი კარგი ლირსების ხორცი და ბუმბული.

74. ჭითელი იხვი (Casarca casarca L.)

ჭითელი იხვი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთი ევროპის სამხრეთ ქვეყნებში, სსრ კავშირის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის იქითა მხარეში, ცენტრალურ აზიაში, ავღანისტანში, ირანში, იაპონიაში.

საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას.

ბინაღრობს ველებზე, მინდვრებში. ბუდეს იქნა-
თებს ხის ფულუროში ან ცხოველის მიერ მიტკოვა-
ბულ სოროში.



სურ. 29. წითელი იხვი

გაზაფხულზე დედალი 5-16 კვერცხს დებს. გა-
მოჩეკვა 27 დღემდე გრძელდება. ახლად გამოჩეკი-
ლი ჭუკები თეთრი და შავი ხალებით არიან და-
ფარული.

სიცოცხლის ხანგრძლიობა 50 წლამდე აღწევს.

წითელი იხვი ძვირფას სარეწაო-სანადირო ობი-
ექტს წარმოადგენს: გამოიყენება მისი ხორცი და
ბუმბული.

75. კუდსადგისა იხვი (Dafila acuta L.)

კუდსადგისა იხვი ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, აზიაში, ჩრდილო და ცენტრალურ აფრიკაში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში.

საქართველოში გვხვდება მიმოფრენის დროს.

ბინადრობს ტბების, ჭაობების და დიდი მდინარეების სანაპიროებზე, რომლებიც ჩალით ან ლერწმით არიან დაფარული.

გაზაფხულზე დედალი დებს 5-12 კვერცხს. გამოჩეკვას 28 დღემდე ანდომებს. ახლად გამოჩეკილი ჭუკები საკმაოდ სრულყოფილნი არიან და გამოჩეკისთანავე დედას დასდევენ და დასცურავენ წყალში.

კუდსადგისა იხვი სანადირო ობიექტია. გამოყენება მისი ხორცი და ბუმბული.


76. მუჟკიანი იხვი (Cairina moschata Flemm)

მუჟკიანი იხვი გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში. მისი გავრცელების მრავალ ადგილებში და აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც მრავალგან მოშინაურებულია.

ბინადრობს უფრო მეტად ტყიან ადგილებში. წყალსატევებს არ ეტანება. ამასთანავე არც თუ კარგი მცურავია.

გაზაფხულზე მუშკიანი იხვი დებს 10—12 კვერცხს.
გამოჩეკვა 33 დღემდე გრძელდება. ერთი წლის
ასაკში იწყებს გამრავლებას. ცოცხლობს 10-12
წლამდე.

მუშკიანი იხვი საკმაოდ დიდი ზომა-წონათ ხა-
სიათდება. ზრდასრული მამლის წონა 4 კილო-
გრამამდე აღწევს. მუშკიანი იხვის ხორცისათვის და-



სურ. 30. მუშკიანი იხვი

მახასიათებელია მუშკოვანი სურნელება, საიდანაც
მისი სახელწოდება წარმოსდგება.

მუშკიან იხვს ნისკარტზე და კისერზე განვითარებული აქვს საქმაოდ მოზრდილი ხორცმები, რომლების მიხედვითაც იგი აღვილად გამოირჩევა სხვა სახეობის იხვებისაგან.

77. პეპინის იხვი

პეპინის იხვი შინაური იხვის ჯიშია. მას ინახავენ, როგორც მეხორცულ ფრინველს: მამლის წონა 4 კილოგრამამდე აღწევს, ხოლო დედლისა – 3,5 კილოგრამამდე. წლის განმავლობაში დედალი 80-100 კვერცხს დებს. გამოჩეკვა 23 დღემდე გრძელდება. ახლად გამოჩეკილი ჭუკები სწრაფად იზრდებიან და უკვე 2-2,5 თვის ასაკში 2 კილოგრამის წონას აღწევენ.

მუშკიან იხვთან შეჯვარების შედეგად იძლევა ჰიბრიდებს, რომლებიც ზომა-წონით ორივე მშობელსა სჭარბობენ.

78. მომღერალი გედი (*Cygnus cygnus L.*)

მომღერალი გედი გავრცელებულია ევროპის ჩრდილო ნახევარში, ციმბირში, თურქმენეთში, შავი ზღვის და კასპიის ზღვის სანაპიროებში. მიმოფრენის დროს გვხვდება სამხრეთ ევროპაშიც. საქართველოს ფარგლებში იგი გვხვდება მიმოფრენის დროს.

ბინადრობს ტბების, დიდი მდინარეების ზღვების სანაპიროებში. ბუდეს იშენებს ჩალანთა ლერწმით დაფარულ აღგილებში.

გაზაფხულზე დედალი 4-6 კვერცხს დებს. გამოჩეკვა გრძელდება 35 დღემდე. ახლად გამოჩეკილი გედის ჭუკები პირველ 3-4 დღის განმავლობაში სუსტნი არიან, ხოლო შემდეგ დედასთან ერთად მარჯვედ დასცურავენ წყალში და სარჩოს ეძებენ. ტყვეობაში გედი იშვიათად მრავლდება.

მომლერალი გედის, ისევე როგორც სხვა გედებისა, სიცოცხლის ხანგრძლიობა 100 წელს აღმატება.

გედის ძირითად საკვებს შეადგენენ სხვადასხვა სახეობის მწერები, რბილსხეულიანები (ლოკონები), წყლის მცნარეების ფესვები, მარცვლეული, ზოგჯერ თავკომბალები და თევზები.

მომლერალი გედი თეთრი ფერისაა. ნისკარტი ყვითელი აქვს.

აღსანიშნავია, რომ გედი ეკუთვნის იმ ფრინველთა ჯგუფს, რომელნიც ჩვენში ყველაზე ადრე მოფრინავენ და ჩვენგან ყველაზე გვიან მიფრინავენ.

79. წითელნისკარტა გედი (*Cygnus olor* Gm)

წითელნისკარტა გედი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ ევროპაში, სსრ კავშირის სამხ-100

რეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეებში, 
ღოლები



სურ. 31. წითელნისკარტა გედი

ამიერკავკასიის ფარგლებში წითელნისკარტა გედი, მომღერალ გედთან ერთად, ზამთარს ატარებს კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე, კერძოდ ლენქორანის რაიონში.

ბუდეს იკეთებს ლერწმით დაფარულ ადგილებში.

გაზაფხულზე დედალი დებს 5-8 კვერცხს. 
მოჩეკვა 25 დღემდე გრძელდება. ჭუკების აღმარტვა
ში მონაწილეობს მამალიც.

ცხოვრების ნირი და საკვები ისეთივეა, როგორიც
მომლერალი გედისა.

წითელნისკარტა გედი თეთრი ფერისაა. მას
ნისკარტი აქვს წითელი.

80. შავი გედი (*Chenopsis atrata* Lath.)



სურ. 32. შავი გედი

შავი გედი გავრცელებულია ავსტრალიაში და
კ. ტასმანიაზე.

ბინადრობს ტბების, ჭაობებისა და მდინარეების /
სანაპიროებზე. ბუდეს იკეთებს ჩალიან აღგილებების

დედალი დეკემბერში დებს 5-7 კვერცხს. კრუ-
ხობი 35 დღემდე გრძელდება. კრუხად ჯდება დე-
დალი, რომელსაც მთელი კრუხობის მანძილზე მა-
მალი დარაჯად უდგას ბუდის მახლობლად. ახლად
გამოჩეკილი ჭუკი იმდენად სრულყოფილია, რომ
მაშინვე დასცურავს წყალში და თან სდევს დედას.

იკვებება მარცვლეულით, ლოკოკინებით, ზოგ-
ჯერ სჭამს მცირე ზომის თევზებსაც.

81. გარეული ბატი (Anser anser L)

გარეულ ბატს სხვაგვარად რუხ ბატსაც უწო-
დებენ. იგი ფართოდაა გავრცელებული მთელს
ევროპასა და აზიაში.

საქართველოს ფარგლებში გარეული ბატი მცირე
რაოდენობათ ბუდობს ტბებისა და მსგავსი სახის
წყალსატევების მახლობლად.

გარეული ბატი ბინადრობს გუნდების სახით,
რომლებშიც ხშირად რამდენიმე ასეული ეგზემპლია-
რია ხოლმე გაერთიანებული. მაგრამ, საყურადღე-
ბოა, რომ გამრავლების დროს წყვილდებიან და ასე
რჩებიან ჭუკების დაზრდამდე. შემოდგომის მეორე
ნახევარში ერთად იკრიბებიან და მრავალ-

რიცხოვანი გუნდის სახით საშერეთის ქვეყნებში
მიფრინავენ ზამთრის გასატარებლად.



გარეული ბატი ბუდეს ნიადაგზე იკეთებს. გა-
ზაფხულზე დედალი დებს 10-14 კვერცხს. კრუ-
ხობა 29-30 დღემდე გრძელდება. ახლად გამო-
ჩეკილი ჭუკები საკმაოდ სრულყოფილი არიან: ისი-
ნი გამოჩეკვისთანავე დედას დასდევენ სარჩოს სა-
ძებრად. წლის თავზე სქესობრივად მწიფდებიან და
იწყებენ კვერცხის დებას. ცოცხლობს გარეული
ბატი 100 წელზე მეტს.

გარეული ბატის ძირითად საკვებს შეადგენენ
მარცვლეული, მწერები, ლოკოკინები, ზოგჯერ ბა-
ყაყები, თავკომბალები, თევზები და სხვ.

გარეული ბატი შინაური ბატის ერთ-ერთი წი-
ნაპართაგანია.

გარეული ბატი წარმოადგენს სანადირო-სარე-
წაო ობიექტს. გამოიყენება მისი ხორცი და ბუმ-
ბული.

82. თეთრშუბლა ბატი (Anser albifrons Scop)

თეთრშუბლა ბატი ფართოდაა გავრცელებული
ევროპაში, აზიაში და ჩრდილო აფრიკაში.

საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენის
დროს, ისიც შემოხვევით.

ბინადრობს ტბების, ჭაობების, დიდი მდინარეებისა და ზღვების სანაპიროებში.

გაზაფხულზე დედალი დებს 5-7 კვერცხს. გამოჩეკვა 29 დღემდე გრძელდება. ჭუკები სრულყოფილი იჩეკებიან და მაღვე იწყებენ დედასთან ერთად წყალში ცურვას.

საკვების შემადგენლობა ისეთივეა, როგორიც გარეული ბატისა.

თეთრშუბლა ბატი სანადირო-სარეწაო ობიექტია.

გამოიყენება მისი ხორცი და კარგი ლირსების ბუმბული.

83. წითელჩიჩახვა ბატი (Branta ruficollis Pall)

წითელჩიჩახვა ბატის სხვაგვარად ზღვის ბატისაც უწოდებენ. ფართოდაა იგი გავრცელებული ევროზების ჩრდილო ნახევარში. ზამთარს ატარებს კასპიის ზღვის სანაპიროებში და თურქმენეთის ზოგიერთი ტბის სანაპიროებზე.

საქართველოს ფარგლებში გვხვდება ზოგჯერ, ისიც შემთხვევით.

ბუდეს იკეთებს წყალსატევის სანაპიროზე ჩალით ან ლერწმით დაფარულ ადგილებში.

გაზაფხულზე დედალი დებს 5-10 კვერცხს.
გამოჩეკვა გრძელდება 29-30 დღემდე. ამ გამოჩეკილი ჭუკები სრულყოფილი არიან და დედას თან სდევენ საკვების საშორად.

წითელჩიჩახვა ბატი საბჭოთა კავშირის ფრინველთა ფაუნის ძვირფასი სანადირო-სარეწაო ობიექტია. იგი დაცულია ყველგან ნაკრძალებში.

84. თეთრი ჟარშატი (*Ciconia ciconia* L)

თეთრი ყარყატი ფართოდაა გავრცელებული ევროპის ცენტრალურსა და სამხრეთ ქვეყნებში, ჭავკასიაში, მცირე აზიაში, ირანში. ზამთარს ატარებს ჩრდილო აფრიკაში.


საქართველოს ფარგლებში გვხვდება მრავალ აღგილას.

თეთრი ყარყატი ბუდეს იკეთებს მაღალი ხის წვერებზე. ზოგჯერ-კი ბუდეს იშენებს სახლის სახურავის თავზე.

თეთრი ყარყატი წყვილად მცხოვრები ფრინველია.

გაზაფხულზე დედალი ყარყატი დებს 3-5 კვერცხს, გამოჩეკვა 32 დღემდე გრძელდება. ბარტყების აღზრდაში მონაწილეობს ორივე მშობელი.

თეთრი ყარყატი ჭაობიანი აღგილების მცხოვრებია. მის ძირითად საკვებს შეადგენენ ბაყაყები,



ସ୍ତୁର. 33. ତୃତୀୟ ପ୍ଯାରପ୍ୟାଟିକ



ხელიკები, გველები (როგორც უშხამო ისე შხამი ანი), თევზები და სხვ. საკმაო რაოდენობით გვთავა დგურებს მცირე ზომის მღრღნელებსაც, მათ შორის დიდი რაოდენობით მავნე ფორმებს.

თეთრ ყარყატს სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სახალხო მეურნეობისათვის სარგებლობა მოაქვს შხამიანი გველებისა და მავნე მღრღნელების განადგურებით.

85. ლამის შანჩა (Nycticorax nycticorax L)

ლამის ყანჩა ფართოდაა გავრცელებული მთელს ევროპაში. აზიის სამხრეთ ნაწილში და აფრიკაში.

საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან.

ბინადრობს ჭაობიან ადგილებში სადაც თავს აფარებს ლერწმიან და ჩალიან მიღამოებს. ბუდეს იკეთებს ხეზე, ზოგ შემთხვევაში უშუალოდ ნიადაგზე.

გაზაფხულზე დედალი დებს 3-6 კვერცხს. გამოჩეკვა გრძელდება 21 დღემდე. ბარტყები უსუსურნი და თვალაუხილავნი იჩეკებიან. მათ აღზრდაზე ზრუნავს ორივე მშობელი. ერთი წლის ასაკიდან გამრავლების უნარი შესწევთ. სიცოცხლის ხანგრძლობა 8 წლამდე აღწევს.

ღამის ყანჩისთვის დამახასიათებელია  /
შეფერადება და თხემზე განვითარებული 2-6 ბული,
ბული, რომლებიც სხეულის ბოლომდე გასდევს.

ღამის ყანჩა იკვებება რბილსხეულიანებით
(ლოკოკინებით), მწერებით, თევზებით, ბაყაყებით.
სჭამს აგრეთვე მცენარეთა ფესვებს, ხილსაც.

86. მცირე თეთრი ყანჩა (Garzeta garzeta L.)

მცირე თეთრი ყანჩა ფართოდაა გავრცელებული ევროპის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში, კავკასიაში, მცირე აზიაში, ცენტრალურ აზიაში, აფრიკაში და ავსტრალიაში.

მცირე თეთრი ყანჩა მრავალრიცხოვანი კოლონიების სახით ბინადრობს ლერწმით ან ჩალით დაფარულ ჭაობიან ადგილებში.

გაზაფხულზე დედალი 3-6 კვერცხს დებს. გამოჩეული 23 დღემდე გრძელდება. ბარტყები უსუსურნი იჩეკებიან, რომელთა აღზრდაზე ზრუნავს ორივე მშობელი.

მცირე თეთრი ყანჩის საკვებს შეადგენენ ჭიები, მწერები, თევზები, ბაყაყები, მცენარეთა ფესვები. ზოგჯერ ეს ყანჩა იჭერს და მთლიანად ყლაპავს ბეღურებს.

87. დიდი თეთრი ყანჩა (*Herodias alba* L)



დიდი თეთრი ყანჩა გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, შუა და სამხრეთ აზიაში და ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას, სადაც კი მის საარსებოდ ხელ-შემწყობი პირობებია.

ბინადრობს ტბების, მდინარეების სანაპიროებში, ხოლო ყველაზე მეტად ჭაობიან ადგილებში. ბუდეს იკეთებს ლერწმიან ადგილებში, ხოლო ზოგჯერ ხეზეც.

გაზაფხულზე დედალი დებს 3-4 კვერცხს. გამოჩეკვა გრძელდება 28 დღემდე. ბარტყები უსუსური და ტიტვლები იჩეკებიან.

დიდი თეთრი ყანჩა იკვებება ჭიებით, მწერების მატლებით, ლოკაკინებით, თევზებით, ბაყაყებით, ტრიტონებით, გველებით. ზოგჯერ ყლაპავს წყლის მემინდვრიის წრუწუნებს და ბელურებსაც.

88. ქარცი ყანჩა (*Ardea purpurea* L)

ქარცი ყანჩა ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, აფრიკაში.

საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას.

ბინადრობს ჭაობიან ადგილებში, ტბებისა და
მდინარეთა სანაპიროებში, რომლებიც ლერწმინდას
დაფარული.

გაზაფხულზე დედალი 3-6 კვერცხს დებს. გამო-
ჩეკვა 21-23 დღემდე გრძელდება. ახალი თაობის
აღზრდისათვის მზრუნველობას იჩენს მამალიც.

ქარცი ყანჩა იკვებება ჭიებით, მწერების
მატლებით, ლოკოკინებით, თევზებით, ბაყაყებით.
ზოგჯერ ყლაპავს მცირე ზომის ფრინველებსა და
მლრლნელებს.

89. რუხი შანჩა (*Ardea cinerea* L)


რუხი ყანჩა ფართოდაა გავრცელებული მთელ-
ევროპასა და აზიაში, გარდა მათი უკიდურესი
ჩრდილოეთი მხარეებისა, აფრიკასა და ავსტრა-
ლიაში.

საქართველოს ფარგლებში გვხვდება მრავალ
ადგილას, სადაც კი მის საარსებოდ ხელშემწყობი
პირობებია.

ბინადრობს ტბების, ჭაობების და მდინარეთა
სანაპიროებში. ბუდეს იკეთებს მაღალ ხეზე.

გაზაფხულზე დედალი დებს 3-6 კვერცხს. გამო-
ჩეკვა. გრძელდება 28 დღემდე. ბარტყები უსუსური,
ტიტვლები და თვალაუხილავი იჩეკებიან. ერთი

წლის ასაკში იშეუბენ კვერცხის დებას. ცოცხლობის
70 წლამდე.



სურ. 34. რუხი ყანჩა

რუხი ყანჩა იკვებება მწერებით, რბილსხეულიანებით, ბაყაყებით, გველებით, თევზებით. ზოგჯერ ყლაპავს მცირე ზომის ფრინველთა ბარტყებს, მცირე ზომის მღრღნელებს.

საგრძნობი რაოდენობით თევზების განაღებულებით თევზმეურნეობისათვის შესამჩნევი ზიანი აქვს.

90. ჭყლის ბუღა (Botaurus stellaris L)

ჭყლის ბუღა ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და აზიის უმეტეს ნაწილში, სადაც იგი შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ინდოეთამდე აღწევს. მოიპოვება ჩრდილო აფრიკაშიც.

საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას.

ბინადრობს ჭაობიან ადგილებში, ტაებისა და მდინარეების სანაპიროებში, რომლებიც ლერწმით ან ჩალითაა ხოლმე დაფარული.

ბუღეს ჩალისაგან ან ლერწმისაკან აკეთებს. გაზაფხულზე დედალი 3-6 კვერცხს დებს. გამოჩეკვა გრძელდება 21-23 დღემდე. პირველ ხანებში ახლად გამოჩეკილებს ჰკვებავს ორივე მშობელი.

ჭყლის ბუღა იკვებება ჭიებით, მწერების მატლებით, რბილსხეულიანებით, თევზებით, ამფიბიებით, ზოგჯერ ანკარებით, მცირე ზომის ფრინველებით.

91. ივერისი (Plegadis falcinellus L)

ივერისი გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში.

საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან,
თუმცა უფრო ხშირად მიმოფრენისას.

საქართველო
სამეცნიერო
კოლეგიუმი

ბინადრობს ჭაობიან ადგილებში, ტბებისა და
მდინარეთა სანაპიროებში, რომლებიც ლერწმით
და ჩაღით არიან დაფარული.

გაზაფხულზე დედალი დებს 3-4 კვერცხს გამო-
ჩეკვა 23 დღემდე გრძელდება. კრუხად ჯდება
მხოლოდ დედალი. მამალი რამოდენიმედ მზრუნვე-
ლობას იჩენს ბარტყების აღზრდის საქმეში.

იკვებება ჭიებით, მწერების მატლებით, ლოკო-
კინებით, თევზებით, ამფიბიებით. ზოგჯერ იკერს
მცირე ზომის ფრინველთა ბარტყებს და მცირე
ზომის მღრღნელებს.

92. ჭეროტური (Anthropoides virgo L)


წეროტურთა გავრცელებულია სამხრეთ ევროპა-
ში, შუა აზიაში, შუა და სამხრეთ აფრიკაში.

საქართველოში გვხვდება იშვიათად და ისიც
უფრო მეტად მიმოფრენის დროს.

ბინადრობს სტეპებში, ზოგჯერ სათიბებში.

გაზაფხულზე დედალი დებს 3-6 კვერცხს. გამო-
ჩეკვა გრძელდება 28 დღემდე.

წეროტურთა იკვებება მარცვლეულით. სჭამს
აგრეთვე ლოკოკინებს, მწერებს, ბაყაყებს, გვილებს,
ხვლიკებს.



სურ. 35. წეროტურფა

93. მცირე ჩვამა (*Phalacrocorax pygmaeus Pall*)

მცირე ჩვამა ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურსა და სამხრეთ ევროპაში, ცენტრალურსა და სამხრეთ აზიაში, ჩრდილო აფრიკაში.

ბინადრობს ზღვებისა და მდინარეების სანაპიროებში.

გაზაფხულზე ჩვამა დებს 3-4 კვერცხს. გამო-
ჩეკვა 28 დღემდე გრძელდება. ბარტყები უსუსურთავა
იჩეკებიან. მშობლები პირველ ხანებში მათ „ნათხე-
ვარით“ ჰქონდავენ.



სსურ. 36. მცირე ჩვამა:

საყურადღებოა, რომ ჩვამას ორივე თითი საცუ-
რავი აპკით აქვს დაკავშირებული. იგი საუკეთე-
სოდ დასცურავს და ყვინთავს წყალში, ხოლო
ხმელეთზე მოძრაობს ცუდად.

ჩემას ძირითად საკვებს შეადგენს თყველების
რომელთაც ზოგჯერ დიდი რაოდენობით ჩუქას
და ნაპირზე ყრის. ამგვარად თევზმეურნეობას იგი
საგრძნობ ზიანს აყენებს.

ზოგჯერ ჭამს ბაყაყებს, ქვეწარმავლებს, კიბო-
ებსა და ლოკოკინებს.

ჩემას სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს, რად-
გან მის ხორცს თევზის სუნი უდის.

94. ფსოვი (*Haliaetus albicilla* Briss)

ფსოვს სხვაგვარად თეთრკუდა არწივს უწო-
დებენ. იგი ფართოდაა გავრცელებული მთელს
ევროპაში, აზიაში და ჩრდილო აფრიკაში.

ბინაღრობს წყალსატევების მახლობლად.
ბუდეს იკეთებს მაღალ ხეებზე, მიუვალ კლდეებზე,
სადაც ხშირად, რამდენიმე წლის განმავლობაში
ზედაზედ ჩეკავს ხოლმე ბარტყებს.

ფსოვის ფეხები წვივამდე ტიტველია. კუდი
და ნისკარტი ხანში შესულ ინდივიდებს თეთრი
ფერისა აქვთ.

გაზაფხულზე ფსოვი დებს 1-2 კვერცხს. გამო-
ჩეკვა გრძელდება 40 დღემდე ბარტყები უსუსური,
თვალაუხილავი და ტიტვლები იჩეკებიან, მაგრამ
ისინი სწრაფად იზრდებიან და იმოსებიან ბუმბუ-
ლით. ბარტყების ალზრდისათვის ზრუნავს ორივე

მშობელი. ფსოვი სქესობრივი სიმწიფეს 1 კლასი /
ასაკში აღწევს. სრულ ზრდას ამთავრებს ას 8-10
წლის ასაკში. ცოცხლობს 70 წლამდე.

თეთრკუდა არწივის ძირითად საკვებს შეად-
დგენენ თევზები, სხვადასხვა სახეობის ფრინველები
და მცირე ზომის ძუძუმწოვრები, უმთავრესად
მლრღნელები. უკანასკნელთა შორის დიდი რაო-
დენობით ანადგურებს მავნებელ ფორმებს, რითაც
ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის სარგებლობა
მოაქვს.

95. მთის არწივი (Aquila chrysaëtus L.)

მთის არწივი მტაცებელ ფრინველთა შორის
ერთ-ერთი უდიდესთაგანია.

მთის არწივი დართოდაა გავრცელებული
ევროპაში და აზიაში, იშვიათად შეფრინდება
ხოლმე ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში.

ბინადრობს მაღალ მთებზე ან მიუვალ ულრან
ტყეში. ბუდეს იკეთებს ან კლდის ნაპრალში, ან
მაღალი ხის მწვერვალზე.

აღრე გაზაფხულზე დებს 1-2 კვერცხს. გამო-
ჩეკვა 40 დღემდე გრძელდება. საყურადღებოა,
რომ ხშირად მთის არწივი მხოლოდ ერთ ბარტყესა



სურ. 37. მთის არწივი

ზრდის ხოლმე. ნაშიერების აღზრდისათვის 
ვე მშობელი ზრუნავს.

გერმანია
შილდი

სრულ ზრდას 5-6 წლის ასაკში იღწევს. ცოცხლობს 80 წლამდე.

მთის არწივი დიდი რაოდენობით ანადგურებს ჩვენი სანადირო-სარეწაო ფაუნის ძვირფას წარმომადგენლებს, რითაც სახალხო მეურნეობას საგრძნობ ზიანს აყენებს.

ზოოპარკის პირობებში მთის არწივს საკვებად ეძლევა ხორცი.

96. ველის არატივი (*Aquila nipalensis* Hodgs)

ველის არწივი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, სამხრეთ-დასავლეთ ციმბირში, კავკასიაში. კერძოდ საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას, ველებზე.

ბუდეს იკეთებს უშუალოდ ნიადაგზე სათიბებში ან ყანაში. გაზაფხულზე დებს 1-2 კვერცხს, იშვიათად — სამს. გამოჩეკვა 40 დღემდე გრძელდება. კრუხად ჯდება, მორიგეობით მამალიც. ბარტყები უსუსური, თვალაუხილავი და ტიტვლები იჩეკებიან. ბარტყების აღზრდისათვის ზრუნავს ორივე

შშობელი: ისინი პირით უზიდავენ სარჩოს და
ნისკარტით პირში უდებენ. სრულ ზრდას უდებენ არწივი 4-5 წლის ასაკში აღწევს. ცოცხლობს 70
წლამდე.

ველის არწივის ძირითად საკვებს შეადგენენ
მემინდვრიები, ზაზუნები, მინდვრის თაგვები და
სხვ., რომელთაც იგი დიდი რაოდენობით ანადგუ-
რებს. ამ მავნებელთა განადგურებით ველის არწივს
ჩვენი მეურნეობისათვის საგრძნობი სარგებლობა
მოაქვს. რისთვისაც მისი დაცვა საჭიროა ყველგან,
სადაც იგი ბინადრობს.

97. ბეგობის არწივი (*Aquila heliaca* Savign)

ბეგობის არწივი ფართოდაა გავრცელებული
სამხრეთ ევროპაში, აზიის დიდ ნაწილში, ჩრდ.
აფრიკაში.

ბინადრობს ველებზე, ტყის სანაპიროზე.

დებს 1-2 კვერცხს. გამოჩეკვა გრძელდება 30
დღემდე. კრუხად ჯდება მორიგეობით მამალიც.
ბეგობის არწივი ცოცხლობს 60 წლამდე.

იკვებება სხვადასხვა სახეობის მღრღნელებით.

98. დიდი ქვეარტივი (*Aquila maculata* Gmel)



დიდი ქვეარტივი ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, აზიაში, საღაც იგი ინდოეთამდე აღწევს. გეხვდება ჩრდილო აფრიკაშიც.

საქართველოში მოიპოვება ხშირად.

ბინადრობს ულრან ტყეში, თუმც ტყის სანაპირო ზონაშიც ვხვდებით.

გაზაფხულზე დებს 1-2 კვერცხს, ხოლო იშვიათად სამს. გამოჩეკვა 45 დღემდე გრძელდება.

იკვებება სხვადასხვა სახეობის მღრღნელებით.

დიდი რაოდენობით ანადგურებს სარეჭაო-სანადირო ფაუნის წარმომდგენლებს, რითაც ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის.

99. მცირე კაპაჩა (Buteo desertorum vulpinus Licht)

მცირე კაპაჩა გავრცელებულია სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში, სამხრეთ კიმბირში, კავკასიაში, და აფრიკაში.

ბინადრობს ტყეში. ბუდეს იგი იშვიათად იშენებს. უმეტესად იკავებს სხვა ფრინველის მიერ მიტოვებულ ბუდეს.

გაზაფხულზე მცირე კაკაჩა დებს 3-4 კვერცხს
გამოჩეკვა 40 დღემდე გრძელდება.

მცირე კაკაჩა დიდი რაოდენობით ანადგურებს
მცირე ზომეს ფრინველებსა და ძუძუმშოვრებს. მათ
შორის დიდი რაოდენობით სპობს სარეწაო-სანა-
დირო ფაუნის წარმომადგენლებს, რითაც სახალხო
მეურნეობისათვის შესამჩნევი ზიანი მოაქვს. ამის
გამო მას მავნებელ ფრინველთა ჯგუფში ათავ-
სებენ.

100. ქვრა. (*Milvus milvus L*)

ქერა გაფრცელებულია ევროპაში და ამიერკავ-
კასიაში. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველ-
გან. გარდა ამისა იგი ბინადრობს ჩრდილო აფ-
რიკაშიც.

ბუდეს იშენებს კლდის ნაპრალებს შუა ან მა-
ლალ ხეზე.

გაზაფხულზე დედალი დებს 2-3 კვერცხს, იშვი-
ათად ოთხს. გამოჩეკვა 28 დღემდე გრძელდება.
კრუად ზის ხოლმე მხოლოდ დედალი. ამ დროს
მამალი მას სარჩოს უზიდავს. ახლად გამოჩეკილი
ბარტყების მიმართ საგრძნობ მზრუნველობას იჩენს
მამალიც.

იკვებება სხვადასხვა სახეობის მცირე ზომის
მლრდნელებით, ბელურებით.



მავნებელი ფრინველია; იგი ხშირად თაჭალის განაკვეთის
მის შინაურ ფრინველებს.

101. ფასტუნჯი (Neophron percnopterus L.)

ფასტუნჯი გავრცელებულია კავკასიაში, კასპიის
ზღვის იქითა მხარეში, თურქმენეთში, ხმელთაშუა
ზღვის სანაპირო ქვეყნებში, მეწამული ზღვის სანა-
პიროებში.

საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას.
ბუდეს იკეთებს მიუვალი კლდის ნაპრალში. უმეტე-
სად ბუდეს თითონვე იშენებს. ზოგ შემთხვევაში
იგი იკავებს სხვა ფრინველის შიერ მიტოვებულ
ბუდეს.

გ. ზაფხულზე დებს 2-3 კვერცხს. გამოჩეკვა
30 დღემდე გრძელდება.

დამახასიათებელია გრძელი და ნაზი ლინლლით
დაფარული კისერი.

ბუნებრივ პირობებში ფასტუნჯი მძორით იკვე-
ბება, იშვიათად თავს ესამის მცირე ზომის ფრინ-
ველებსა და ძუძუმწოვრებს, უკანასკნელებს შორის
სპობს მავნე მღრღნელებს, მაგალითად. ზაზუნებს,
მინდვრის თაგვებს, მემინდვრიებს და სხვ.

102. სვავი (Aegypius monachus L.)



მტაცებელ ფრინველთა შორის ერთ ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. გავრცელებულია სამხრეთ ეკროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, ჩრდილო აფრიკაში.

საქართველოში სვავი ბინადრობს მრავალ ტყეში, კერძოდ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ბორჯომის ხეობაში, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში. სარჩოს საძებრად იგი ტყიდან ველებზედაც გადის.

ბუდეს მაღალ ხეზე იკეთებს. იგი ფიჩხებისგანაა ხოლმე აგებული და მოფენილია ხმელი ფოთლებითა და ბუმბულით.

გაზაფხულზე დებს ერთ კვერცხს. გამოჩეკვა 51 დღე გრძელდება. ბარტყი უსუსური, თვალაუხილავი და ტიტველი იჩეკება. ბარტყის აღზრდაზე ზრუნავს ორივე მშობელი, რომლებიც პირველ ხანებში ზიდავენ საკვებს და მათ პირში ნისკარტით უდებენ. სვავის სიცოცხლის ხანგრძლივობა 118 წლამდე აღწევს.

სვავი იკვებება მძორით (ლეშით), იშვიათად იგი თავს ესხმის სუსტსა და მცირე ზომის ფრინველებსა და ძუძუმწოვარებს.

სვავი ერთ-ერთი გაუმაძლარი ფრინველთაგანია
იგი ზოგჯერ ლეშჩე მიმდგარი იმდენსა სჭამს  მე, რომ კუჭში ჩაუტევნელი საკვები პირში რჩება
და ხშირად პირიდან გარეთაც აქვს ხოლმე გამო-
შვერილი. ასეთ შემთხვევაში ტანდამძიმებულ სვავს
ფრენა აღარ შეუძლიან და ხშირად იმავე ადგილას
ფრთებ გაშლილი რჩება ხოლმე ორი-სამი დღის
განმავლობაში. მაგრამ თუ ასეთგვარად გამძლარ
სვავს რაიმე ხითათი შეემთხვა, მაშინ იგი პირი-
დან ამოყრის შეკმულ საკვებს და ფრინდება.

საყურადღებოა, რომ სვავი თევზს არა სჭამს,
თუნდაც იგი დიდი ხნის დამშეულიც იყოს.

103. ორბი (Gyps fulvus Briso)

ორბი ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ ევ-
როპასა და დასავლეთ აზიაში.

საქართველოში იგი თითქმის ყველა მაღალ
მთიან ადგილას ბინადრობს.

ვერტიკალურად ორბი თოვლის ხაზამდე აღწევს.
ორბი ბუდეს იკეთებს მაღალ, ციცაბოსა და
მიუდგომელ კლდეებზე. ბუდე ოდნავ ჩაღრმავებულ
ადგილს წარმოადგენს, რომელიც მოფენილია ხმე-
ლი ფოთლებითა და ბუმბულით.

დედალი ადრე გაზაფხულზე დებს ერთ კვერცხს.
გამოჩეკვა 50 დღემდე გრძელდება. კრუხობაში მო-



ნაწილეობას ლებულობს მამალიც, ოომელიც დალს დროდადრო სცვლის მისი საკვების მოსახურავი ვებლად გაფრენის დროს. ბარტყებისათვის საკვები მოაქვს მამალსაც.

ორბი სრულ ზრდას ამთავრებს 8-10 წლის ასაკში. სიცოცხლის ხანგრძლიობა 100 წლამდე აღწევს.

ორბი ტყვეობაში იშვიათად მრავლდება. საყურადღებოა, რომ თბილისის ზოოპარკში უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ორბი ყოველწლიურად ჩეკს და ზრდის თითო ბარტყეს.

ორბის ძირითად საკვებს მძორების შინაგანი ორგანოები—ლვიძლი, ფილტვი, გული და სხვ.—შეადგენენ, თუმცა სჭამს სხვა ნაწილებსაც. ცოცხალ ცხოველებს შორის იგი თავს ესხმის ზაზუნებს, მემინდვრიებს, კურდლებს და სხვ.

184. ჰოტი (*Bubo bubo interpositus* Rot. et Hatt)

ჭოტი, ოომელსაც სხვაგვარად ზარნაშოსაც უწოდებენ, ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში და ჩრდილო აფრიკაში.

საქართველოში ჭოტი გვხვდება თითქმის ყველგან.

ბუდეს იქეთებს ულრან ტყეში მაღალ ხეზე. ზოგ
ჯერ იგი იკავებს სხვა ფრინველის მიერ მიტოვე
ბულ ბუდეს.

გაზაფხულზე დედალი დებს 2-3 კვერცხს. გა-
მოჩეკვა გრძელდება 33 დღემდე. კრუხად მჯღომ
დედალს მამალი უზიდავს საკვებს და ნისკარტით
პირში უდებს. ბარტყები უსუსური, ტიტვლები და
თვალაუხილავი იჩეკებიან. მათ აღზრდისათვის
ზრუნავს ორივე მშობელი. ბარტყები სწრაფად იზ-
რდებიან და იმოსებიან ბუმბულით. კოცხლობს 100
წლამდე.

ჭოტის ძირითად საკვებს სხვადასხვა სახეობის
ფრინველები და ძუძუმწოვრები შეადგენენ. დიდი
რაოდენობით ანადგურებს იგი ძვირფას სარეწაო
სანადირო ფორმებს, როგორიცარიან, მაგალითად,
კვერნა, ციყვი, ხოხობი, როჭო და სხვ.. ხშირად
იტაცებს შინაურ ფრინველებსაც და ამით ჩვენ სა-
ხალხო მეურნეობას საგრძნობ ზიანს აყენებს. ამის
გამოა, რომ ჭოტის უველგან ებრძვიან მოსასპობად.

105. კაშკაში (Pica pica L.)

კაშკაში ფართოდაა გავრცელებული მთელ ევ-
როპაში, აზიის უმეტეს ნაწილსა და ჩრდილო აფ-
რიკაში.

9. თბილისის ზოოპარკი

საქართველოში იგი გვხვდება მრავალ ადგილას
ბინადრობს ტყეში, ბუჩქნარში, ზოგჯერ კუპიჭა-
ლებსა და ვენახებში.

ვერტიკალურად იგი ვრცელდება ზღვის დონეს
ზევით 2000 მეტრამდე.

კაჭკაჭი ბუდეს იკეთებს ხეზე. ბუდე ძირითადათ
ფიჩისაგანაა აგებული და შიგნიდან ფოთლითა და
ბუმბულითაა ხოლმე მოფენილი.

გაზაფხულზე კაჭკაჭი 6-8 კვერცხს დებს. კრუ-
ხობა 18 დღემდე გრძელდება. ბარტყები ტიტველი,
უსუსური და თვალაუხილავი იჩეკებიან. მათ აღზრ-
დაზე ზრუნავს ორივე მშობელი, რომლებსაც მათ-
თვის ნისკარტით მოაქვთ ჭიები, მწერის მატლები,
ლოკოკინები, მცირე ზომის ფრინველთა ბარტყები,
მინდვრის თაგვები, ზაზუნები და სხვ.

კაჭკაჭს მავნე მწერებისა და ლოკოკინების გა-
ნადგურებით ერთგვარი სარგებლობა მოაქვს ჩვენი
მეურნეობისათვის. მაგრამ ზოგჯერ იგი იტაცებს
შინაური ქათმის წიწილებს და ამით ზიანს აყე-
ნებს სოფლის მეურნეობას.

106. მთიულა (*Fringilla montifringilla* L)

მთიულა გავრცელებულია ევრაზიის კონტინენ-
ტზე ატლანტიკური ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე.

საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან.

ბუდეს იკეთებს ხეებზე. გაზაფხულზე დებს კვერცხს. გამოჩეკვას 13-14 დღე სჭირდება. ბარტყები უსუსური, ტიტველი და თვალაუხილავი იჩეკებიან.

იკვებება მარცვლეულით, მწერებით, ჭიებით, ლოკოკინებით.

შავნე მწერების განადგურებით სახალხო მეურნეობას საგრძნობ სარგებლობას აძლევს.

108. პივჭავი (Chrysomitris spinus L.)

ჭივჭავი მოიპოვება ევროპაში, აზიასა და ჩრდილო აფრიკაში. ვერტიკალურად ზღვის დონეს ზევით 2000 მეტრამდე აღწევს.

ბუდეს იკეთებს ტყეში. აღრე გაზაფხულზე დებს 5-6 კვერცხს. გამოჩეკვა 14-15 დღემდე გრძელდება. ბარტყების აღზრდაზე მზრუნველობს ორივე მშობელი.

ჭივჭავი იკვებება ჭიებით, მწერებით და მათი მატლებით, მარცვლეულით, ხილით.

შავნე მწერების განადგურებით სახალხო მეურნეობისათვის საგრძნობი სარგებლობა მოაქვს.

108. ჩიტბატონა (Carduus carduelis brevirostis Zarudn)

ჩიტბატონა ფართოდაა გავრცელებული მთელ ევროპაში, აზიაში და ჩრდ. აფრიკაში.

ბინადრობს ტყეში, ბუჩქნარში, ბალებში. ბუდეს
ხეზე ან ბუჩქე იკეთებს.

სამოცვალი
განვითარება

ადრე გაზაფხულზე ჩიტბატონა დებს 4-5
კვერცხს. გამოჩეკვა 14-15 დღემდე გრძელდება.
ზოგ შემთხვევაში იგი წელიწადში 2-3 ჯერ მრავ-
ლდება.

იკვებება მარცვლეულით, ჭიებით, მწერებით,
ლოკოკინებით. მავნე მწერებისა და ლოკოკინების
განადგურებით საგრძნობი სარგებლობა მოაქვს ჩვე-
ნი სახალხო მეურნეობისათვის.

109 გვანულა (Chloris chloris L.)

მწვანულა გავრცელებულია მთელ ევროპასა და
აზიაში.

ბინადრობს ტყეში, ბუჩქნარში, ბალებში.

ბუდეს იშენებს ნიადაგიდან მცირე სიმაღლით
დაშორებით, ჩვეულებრივ ბუჩქზე.

გაზაფხულზე დებს 3-6 კვერცხს. გამოჩეკვა
გრძელდება 13-14 დღემდე. 1 წლის ასაკში მრავ-
ლდება. ცოცხლობს 5-6 წლამდე.

მწვანულას ძირითად საკვებს შეადგენენ მარც-
ვლეული, მწერები, ჭიები და მცირე ზომის ლოკო-
კინები.

მავნე მწერების განადგურებით იგი ჩვენ სახალხო
მეურნეობას საგრძნობ სარგებლობას აძლევს.

110. ემუ (Dromaeus novae – hollandiae)
Lath)

ნარიჯელი
გიგანტი

ემუს სხვაგვარად ავსტრალიის სირაქლემას უწოდებენ.

ემუ გავრცელებულია ავსტრალიაში, სადაც იგი თვალუწვდენელ ველებზე ბინადრობს.

ემუ თანამედროვე ფრინველებს შორის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ზომა - წონით მხოლოდ აფრიკის სირაქლემას ჩამოუვარდება. ემუს სიმაღლე 170 სანტიმეტრამდე, ხოლო წონა 80 კილოგრამამდე აღწევს. მას მეტად მოკლე ფრთები მოეპოვება, რის გამოც იგი ფრენის უნარს მოკლებულია.

ემუ ბუდეს ნიადაგზე იკეთებს—თივისა და ხმელი ფოთლებისაგან. ბუდის ფსკერი მოფენილია ბუმბულით. ბუდეს მამალი ამზადებს.

დეკემბერში ემუ დებს 8-10 კვერცხს. ემუს კვერცხი მწვანე ფერისაა. მისი ზომა დაახლოებით ქათმის 10-12 კვერცხის მოცულობას უდრის. ჩვეულებრივ ემუ კვერცხს დებს დღე-გამოშვებით. საყურადღებოა, რომ კვერცხის დების დამთავრებისას ემუ საერთო წონის დაახლოებით 30% ჰქარგავს.

კვერცხებზე კრუხად ჯდება მამალი. კრუხეობა
გრძელდება 48-52 დღე. ამ ხნის განმავლობაში



სურ. 39. ემუ

მამალი არცა სჭამს და არც სვამს. ამ ხანში  არსებობს თავის ორგანიზმი დაგროვილი ცნობის ხარჯზე. საყურადღებოა, რომ მამალი კრუხობის დამთავრებისას ჰქარგავს სხეულის საერთო წონის დაახლოებით 30%.

წიწილების, რომლებიც პირველ ხანებში განივზოლიანები არიან, აღზრდაზე ზრუნავს მხოლოდ მამალი. თუ შემთხვევით წიწილებს დედა მიუახლოვდა, შაშინ მას მამალი (კრუხი) წიხლების ცემით სდევნის და ყოფილა შემთხვევა, როდესაც ასეთგვარი თავდასხმის შედეგად დედა მომკვდარა. ემუს წიწილები სწრაფად იზრდებიან და უკვე ერთი წლის ასაკში 60-70 კილოგრამამდე წონას აღწევენ.

ემუ ჩვენ კლიმატურ პირობებს ადვილად იტანს. იგი თავს კარგად გრძნობს- 40°C პირობებში. თუმცა კვერცხის მდებელი დედლის შენახვა საჭიროა თბილ შენობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კვერცხები გაიყინება. ასევე თბილ შენობაში უნდა იქნეს შენახული კრუხიც, წინააღმდეგ შემთხვევაში წიწილების გამოჩეკვა არ მოხერხდება.

ემუ იკვებება მცენარეული პროდუქტებით. სჭამს მარცვლეულებს, ბალახს, ხილს და სხვ. ზოგჯერ სჭამს ხელიკებს, მცირე ზომის მღრღნელებს, მწერებს, ლოკოკინებს, ჭიებს.

ზოოპარკის პირობებში ემუს საკვებად ეძლევა მური, მარცვლეული (ხორბალი, ქერი, შვრი), სუმზირა, ქატო, სიმინდი, ხილი (სეზონურად), ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტოს ფოთოლი, კარტოფილი (მოხარშული), კვერცხი (მოხარშული). ხორცი (დაკეფილი).

ემუს ხორცი საკვებად ვარგისია, ხოლო მისი ბუმბული კარგი ხარისხისაა და გამოიყენება სხვადასხვა საჭიროებისათვის (ბალიშის, საბნის და სხვ. შესაკერად).

111. ალიგატორი (*Alligator mississippiensis* Daud)

ალიგატორი ფართოდაა გავრცებული ჩრდილო ამერიკაში დაწყებული მდ. რიოგრანდედან ჩრდილოეთით ვიდრე ჩრდილო სიგანედის 35° -დე. აღნიშნულ ფართობზე ალიგატორი მოსახლეობს თითქმის ყველა მდინარეში, ტბასა და ჭაობში.

ალიგატორი სხვადასხვა ზომის ორმოში, წყალსატევის სანაპიროზე, დებს 60-70 კვერცხს, რომელთაგან ნაშიერები იჩეკება 54-55 დღის შემდეგ. ამ უკანასკნელთა სხეულის სიგრძე 20 სანტიმეტრამდე აღწევს. ზრდადამთავრებული ალიგატორის სიგრძე 4 მეტრს სჭარბობს.

თბილისის ზოოპარკის ალიგატორის სიგრძე 2,5
მეტრია, ხოლო წონა 90 კილოგრამი. ალიგატორი იკვებება თევზებით, ბაყაყებით,
ფრინველებითა და ძუძუმწოვრებით.



სურ. 40. ალიგატორი

ზოოპარკში საკვებად ეძლევა ხორცი, თევზი; ზოგჯერ მტრედები, ზღვის გოჭი ან კროლიკი, რომელთაც მთლიანად ყლაპავს ხოლმე.

112. კავკასიის კუ (Testudo ibera Pall)

კავკასიის კუს სხვაგვარად საბერძნეთის კუს უწოდებენ. გავრცელებულია იგი კავკასია-

ში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ჩირდილო
რიკაში, მცირე აზიასა და ირანში.

საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ
აღმოსავლეთში და ქართლ - იმერეთის (ლიხის)
ქედს დასავლეთით არა სცილდება.

კავკასიის კუ ბინადრობს ტყეში, ბუჩქნარში,
სტეპში, მინდვრებში, ბალებში.

კუ შემოდგომაზე, თავის მიერვე ამოთხრილ
ორმოში დებს 4-12 კვერცხს. რომელთაც შემდეგ
თითონვე აყრის მიწას და ტკეპნის. კვერცხებიდან
ნაშიერები გაზაფხულზე იჩეკებიან.

კუს საკვებს შეადგენს ბალახი, ხილი, ბოსტ-
ნეული.

კულტურულ ნათესების განადგურებით კუ
სოფლის მეურნეობას მცირეოდენ ზიანს აყენებს.

ზოგ ადგილას კუს კვერცხს და ხორცს საკვე-
ბად იყენებენ.

113. კასპიის კუ (*Clemmys caspica* Gmel)

კასპიის კუ გავრცელებულია აღმოსავლეთ
ამიერკავკასიაში და ირანში, სადაც იგი სპარსე-
თის სრუტემდე აღწევს.

საქართველოში გვხვდება ქართლ-იმერეთის
(სურამის) ქედის აღმოსავლეთით.

ბინადრობს მდინარეთა სანაპიროებში, ჭაობებში, ტბებში, მისი ცხოვრების ნირი დაკავშირდებულია წყლის გარემოსთან.

შემოდგომაზე, წყალსატევის სანაპიროსთან, ორმოში დებს 6-12 კვერცხს, რომლებიდან ნაშიერები იჩეკებიან გაზაფხულზე.

კასპიის კუ იკვებება თევზებით, ბაყაყებით. ზოგჯერ სჭამს მდინარის კიბოებს, წყლის მწერებს, რბილსხეულიანებს.

კასპიის კუს ხორცი და კვერცხი საკვებად ვარგისია.

114. ჭაობის კუ (Emys orbicularis L)

ჭაობის კუ ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ, ცენტრალურსა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ დასავლეთ აზიაში, ჩრდილო აფრიკაში.

საქართველოში მოიპოვება თითქმის ყველგან, სადაც კი მის საარსებოდ ხელშემწყობი პირობებია, ბინადრობს ჭაობის კუ ჭაობებში, ტბებში მდინარეთა სანაპიროებში და სხვა სახის წყალსატევებში.

შემდგომაზე ჭაობის კუ წყალსატევის მახლობლად ორმოში, რომელსაც თითონვე თხრის დებს

6-12 კვერცხს, რომლებიდანაც ნაშიერები იჩეკები
ბიან გაზაფხულზე.

ჭაობის კუ იკვებება თევზებით, ბაყაყებით,
ტრიტონებით. ზოგჯერ სჭამს მდინარის კიბოებს,
რბილსხეულიანებს, წყლის მწერებს.

ზოოპარკის პირობებში საკვებად ხორცი ეძ-
ლევა.

ჭაობის კუს ხორცი და კვერცხი საკვებად
ვარგისია.

115. ქავკასიის ჯოჯო (Agama caucasica Eichw)

ჯოჯოს სხვაგვარად აგამასაც უწოდებენ. იგი
ხვლიკების მონათესავე ქვეწარმავალია.

ქავკასიის ჯოჯო ფართოდაა გავრცელებული
კაფეისიაში, ირანში.

საქართველოში მოიპოვება მხოლოდ ქართლ-
იმერეთის (სურამის) ქედის აღმოსავლეთით.

ბინაღრობს კლდოვან აღგილებში, სადაც
კლდის ნაპრალებს შორის აფარებს ხოლმე თავს.

საყურადღებოა, რომ ჩეენებურ ხვლიკებს შო-
რის ჯოჯო ყველაზე გვიან ეძლევა ზამთრის ძილს,
ხოლო გაზაფხულზე ყველაზე ადრე იღვიძებს.

ჯოჯო იქვებება სხვადასხვა სახეობის მწერლების
ბით.



116. გველხოკერა (Ophisaurus apodus Pall)

გველხოკერა, რომელსაც სხვანაირად ზლოკსაც უშოდებენ, უფეხო ხვლიკს წარმოადგენს.

გველხოკერა ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ - დასავლეთ აზიაში და ჩრდილო აფრიკაში.

საქართველოში მოიპოვება ყველგან.

ბინადრობს ტყეში, ველზე, მინდორში, სათიბებში, ყანებში, ბალებში, ვენახებში, ბოსტნებში. ერიდება ჭაობიანსა და ნოტიო ადგილებს.

გველხოკერას საკვებს შეადგენენ მწერები, რბილსხეულიანები, ხვლიკები, ფრინველთა კვერცხები. მავნე მწერების განადგურებით ჩვენ სახალხო მეურნეობას შესამჩნევ სარგებლობას აძლევს. საჭიროა მისი დაცვა ყველგან სადაც კი იგი ბინადრობს,

შემოდგომის დამლევს ორმად ჩადის ნიადაგში, სადაც ეძლევა „ზამთრის ძილს“. ილვიძებს ადრე გაზაფხულზე.

117. ჩვეულებრივი ანკარა (Natrix natrix L.)



ანკარას ზოგ ადგილას ირასტორად ზღლოვს უწოდებენ.

ჩვეულებრივი ანკარა ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, დასავლეთსა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდილო აფრიკაში (კერძოდ ალჟირში).

საქართველოში მოიპოვება თითქმის ყველგან, სადაც კი საამისო ხელშემწყობი პირობებია.

ჩვეულებრივ ბინადრობს ტბების, მდინარეთა სანაპიროებში, ჭაობებში; საერთოდ წყალსატავების მახლობლად.

ჩვეულებრივ ანკარას თვალების უკან ორი ყვითელი ხალი მოეპოვება, რის გამოც ზოგ ადგილას ამ გველს „საყურებიან“ გველს უწოდებენ.

ანკარა ერთ ჯერზე 15-16 კვერცხს დებს, რომელთაგან ნაშიერები ზაფხულის დამლევს იჩეკებიან.

შემდგომის დამლევს ანკარა ნიადაგში ღრმად ეფლობა და „ზამთრის ძილს“ ეძლევა. ილვიძებს აღრე გაზაფხულზე.

ანკარას საკვებს შეადგენენ ბაყაყები, ხვლიკები, თევზები, მწერები, ლოკოკინები.

მავნე მწერებისა და ლოკოკინების განადგურების ბით ანკარას ერთგვარი სარგებლობა მოაქვს მეურნეობისათვის.

ჩვეულებრივი ანკარა უშხამო გველია. იგი არ იკბინება.

118. წყლის ანკარა (*Tropidonotus tesselatus* Laur)

წყლის ანკარა ჩვეულებრივი ანკარისაგან განსხვავდება მით, რომ თავზედ ყვითელი ხალხები არ მოეპოვება.

გავრცელებითა და ცხოვრების ნირით ემსგავსება ჩვეულებრივ ანკარას.

119. ტბის ბაჟანი (*Rana ridibunda* Pall)

ტბის ბაჟანი გავრცელებულია ევროპაში, დასავლეთ აზიაში, ჩრდილო აზიაში, ჩრდილო დასავლეთ აფრიკაში.

საქართველოს ფარგლებში ტბის ბაჟანი მოპოვება თითქმის ყველა სახის მტკნარწყლიან წყალსატევში, გარდა მაღალ ალპური ზონისა.

გაზაფხულზე ბაჟანი წყალში დებს მრავალრიც-

ხოვან კვერცხებს ქვირითის სახით. თავკომბალებრი
მჩეკებიან და მეტამორფოზის გაივლიან წყალში.
ზოგიერთ ქვეყნებში ბაყაყს იყენებენ საკვებად.

120. სავარცხლიანი ტრიტონი (*Triturus cristata carnifex Laur*)

სავარცხლიანი ტრიტონი გავრცელებულია
ცენტრალურსა და სამხრეთ ევროპაში, კავკასიაში
ყირიმში, ჩრდილო აღმოსავლეთ ირანში.

საქართველოს ფარგლებში ბინადრობს მრავალ
ადგილას, კერძოდ თბილისის მიდამოებში, თელა-
ვის მახლობლად, ბორჯომის ხეობაში და სხვ.

ბინადრობს ტბებსა და ჭაობებში.

გაზაფხულზე დედალი ტრიტონი კვერცხებს
თითო-თითოდ დებს და აწებებს წყალმცენარეზე ან
სხვა სახის სუბსტრატზე. თავკომბალები იჩეკებიან
და მეტამორფოზის გაივლიან წყალში.

ტრიტონი იკვებება წყლის ცხოველებით როგო-
რიც არიან, მაგალითად, მწერები, ლოკოკინები,
ბაყაყის თავკომბალები და სხვ.

121. მცირე აზიის ტრიტონი (*Triturus vittatus Gray*)

მცირე აზიის ტრიტონი ფართოდაა გავრცე-
ლებული მცირე აზიაში, აჭარაში, გურიაში, ბორ-
ჯომის ხეობაში.

ცხოვრების ნირი ისეთივეა, როგორც სავარუბი
ლიანი ტრიტონისა.



122. აქსოლოტლი (Ambystoma mexicanum Cope)

აქსოლოტლი წარმოადგენს აშბლისტომას თავკომბალას სტადიას, რომელსაც მეტამორფოზის დამთავრებამდე გამრავლების უნარი შესწევს. ასეთგვარად ნაადრევად სქესობრივ სიმწიფეს და გამრავლების უნარს „ნეოტენია“ ეწოდება,

აქსოლოტლი (ამბლისტომა) გავრცელებულია მექსიკაში, საიდანაც იგი როგორც სააკვარიუმე, დეკორაციული და სალაბორატორიო ცხოველი განსახლებულია მთელ მსოფლიოში.

იკვებება წყლის მწერებით, ლოკოკინებით.

ზოგპარკში საკვებად ეძლევა წვრილად დაკიპილი ხორცი.

123. ღძროს თევზი (Carassius carassius auratus L.)

ოქროს თევზი ხელოვნურადაა მიღებული ჩვიულებრივი კარასიდან (*Carassius vulgaris*).

ოქროს თევზი გავრცელებულია ჩინეთში. სააკვარიუმე დეკორაციული თევზის სახით განსახლებულია მთელ მსოფლიოში.

ოქროს თევზი დებს მრავალ კვერცხს, რომელი
თაგან ლიფსიტები იჩეკებიან 2-6 დღეზე. ასახადეთ
რევი და მოგვიანებული გამოჩეკვა დამოკიდებუ-
ლია. აკვარიუმში მეტნაკლები ტემპერატურისაგან.
სქესობრივ სიმწიფეს ერთი წლის ასაკში აღწევს.

საკვებად ახლად გამოჩეკილ ლიფსიტებს ეძლე-
ვა ინფუზორიები, ხოლო შემდეგ—დაფნიები, ციკ-
ლოპები და წვრილად დაკეპილი ხორცი.

124. კომეტა (Carassius auratus var. ja- ponicus simplex Bd)

კომეტა ხელოვნურად მიღებულია ჩვეულებრივი
ოქროს თევზისაგან.

დამახასიათებელია კუდის ფარფლი, რომელიც
ლენტისებურადაა წაგრძელებული.

ხელოვნურად მიღებულია იაპონიაში, ხოლო
როგორც სააკვრიუმე თევზი შეინახება მთელ მსოფ-
ლიოში.

ცხოვრების ნირი, კვება და შენახვის პირობები
იგივეა, როგორც ოქროს თევზისა.

125. კუდლეჩჩქა (Carassius auratus var. japonicus bicaudatus Zrn)

კუდლეჩჩქა ხელოვნურად მიღებულია ჩვეულე-
ბრივი ოქროს თევზისაგან.

დამახასიათებელია ლეჩაქივით გაშლილი, გრძელი, განიერი და ორად გაყოფილი კუდის ფართული, რომელიც ამავე დროს გამჭირვალეცაა. გვხვდება განსხვავებული შეფერადებისა — ზოგი თეთრი, ვარდისფერი, ჭრელი და სხვ.

ზოგს მეტად ნაზი და გამჭვირვალე ქერცლები უნვითარდება და შთაბეჭდილება რჩება თითქოს თევზი ტიტველი, ქერცლებს მოკლებული იყოს. სქესობრივ სიიწიფეს ორი წლის ასაკში აღწევს.

ცხოვრების ნირი, შენახვის პირობები, საკვების შემადგენლობა ისეთივეა როგორიც ოქროს თევზისა.

126. ტელესკოპი (*Carassius auratus* var. *macrophthalmus* Drg)

ტელესკოპი ხელოვნურადაა მიღებული ჩვეულებრივი ოქროს თევზისაგან.

ტელესკოპის საშშობლოა ჩინეთი.

დამახასიათებელია მოკლე და ძლიერ ამობურცული მსხვილი, ნაზი, გრძელი და გამჭვირვალე ფართულები, რომელთაგან კუდის ფართული ორმაგია და ლეჩაქივით დასთრევს. თვალები დიდი ზომისაა.

ცხოვრების ნირი, შენახვის პირობები, საკვების შემადგენლობა იგივეა, როგორც ოქროს თევზისა.

127. ნურია (Esomus danricus)



ნურია მცირე ზომის მფრინავი თევზია. იგი გავრცელებულია ინდოეთში, მალაკის ნახევარკუნძულზე.

სხეული მუქი ვერცხლისფერია. თავიდან კუდამდე გასდევს მუქი ზოლი. მამალს ამ ზოლის ქვემოთ ემჩნევა მოყვითალო ოქროსფერი ზოლიც.

საკვებად ეძლევა დაფნიები, ციკლოპები, ჭიები, წვრილად დაკეპილი ხორცი.

128. ბარბუსი (Barbus conchonius Ham. Buch)

ბარბუსი გავრცელებულია ინდოეთში.

ბარბუსის კუდის ძირის საერთო შეფერადება ოქროსფერია, ხოლო ქვირითობის დროს ნარინჯისფერად იცვლება. მამლის ზურგის ფარფლი ნარინჯისფერია და ზედ მოშავო ლურჯი ზოლი გასდევს, მუცლის ფარფლები უფერულია, ხოლო დანარჩენი—ვარდისფერი.

დედალი 2-3 საათის განმავლობაში 300—500 კვერცხს დებს, რომელთაგან ლიფსიტები იჩეკებიან 24-36 საათის განმავლობაში.

3-5 დღის შემდეგ საკვებად უნდა მიეცეს ინფუზორიები, ხოლო 10-14 დღის შემდეგ—ციკლო-

პები, დაფუნიები, წვრილად დაკეპილი ხორცი, ოთხი
თვის ასაქში სქესობრივი მწიფდება და მწყება
გამრავლებას.

129. დანიო რერიო (Brachydanio rerio Ham. Buch)

დანიო რერიო გავრცელებულია დასავლეთ ინ-
დოსტანში.

დანიო რერიოსათვის დამახასიათებელია გასწვ-
რივი ჩალისფერ-ყვითელი და მუქი ლურჯი ზო-
ლები, რომლებიც ერთი მეორის მორეგეობით
გასდევენ. საყურადღებოა, რომ მამალს კუდზე ასე-
თი ზოლები აქვს ხუთი, ხოლო დედალს — ორი.

დანიო რერიო დებს კვერცხებს, რომელთაგან
12-20 საათის შემდეგ ლიფსიტები იჩეკებიან. ამ
დროს საჭიროა აკვარიუმში დაცული იქნეს წყლის
ტემპერატურა $25-26^{\circ}\text{C}$. პირველ დღეებში საკვე-
ბად ეძლევა ინფუზორიები. ხოლო შემდეგში დაფ-
ნიები, ციკლოპები, წვრილად დაკეპილი ხორცი.
სქესობრივ სიმწიფეს 4-6 თვის ასაკში აღწევს.

130. ტეტრაგონოპტერუსი (Hemigram- mus acelifer)

ტეტრაგონოპტერუსი გავრცელებულია სამხრეთ
ამერიკაში; ბინადრობს მდ. ამაზონში.

ტეტრაგონოპტერუსის გვერდები ოქროსფერობა,
სხეულის უკანა ნაწილი გამჭვირვალეა და მოწითალა
ლო ოქროსფერი გადაპერავს.

მრავლდება გაზაფხულსა და ზაფხულში (მარტი-
დან—სექტემბრამდე). კვერცხებიდან ლიფსიტების
გამოჩეკვას 24-48 საათი სჭირდება. პირველ ხანებ-
ში ლიფსიტებს საკვებად ეძლევა ინფუზორიები,
ხოლო შემდეგ დაფნიები, ციკლოპები, წვრილად
დაკეპილი ხორცი.

131. ტეტრა-ფონ-რიო (Hypheessobriccon flammeus)

ტეტრა-ფონ-რიო გავრცელებულია სამხრეთ
ამერიკაში, სადაც იგი ბინაღრობს მდ. რიო-დე-უ-
ნეიროში.

სხეულის წინა ნაწილში ემჩნევა მიხაკისფერი
სამი განივი ზოლი. ასეთივე ფერის, მაგრამ უფრო
ვიწრო ზოლი გასდევს, თვალების გადაკვეთით, თა-
ვის გარდიგარდმო.

მკერდის ფართლები უფერულია.

ცხოვრების ნირი, შენახვის წესი ისეთივეა, რო-
გორიც ტეტრაგონოპტერუსისა.

132. ხალიბანი ჰილარდინუსი (Phalloceros caudomaculatus)

ხალიბანი ჰილარდინუსი გავრცელებულია სამხ-
რეთ ბრაზილიასა და არგენტინაში.

დამახასიათებელია ლია რუხი ფერის შეფერ-
დება, ვერცხლისფერი ელფერით. კუდის ფარტლის
ძირში მოეპოვება შავი ხალი. მამალს თავის უკა-
ნიდან გასდევს 7-8 ოდნავ შესამჩნევი ირიბი ზოლი.

ხალებიანი ჰირარდინუსის მაკეობა გრძელდება
3-6 კვირამდე. შობს ლიფსიტებს, რომლებიც იმ-
დენად სრულყოფილი არიან, რომ სჭამენ დაფნიებს,
ციკლოპებს, დაკეპილ ხორცს.

სქესობრივ სიმწიფეს 3-6 თვის ასაკში აღწევს.

133. გამბუზია (Gambusia affinis holbrooki)

გამბუზია-გავრცელებულია ჩრდილო ამერიკაში,
სადაც იგი ბინადრობს მდინარეებში, ტბებში, ჭაო-
ბებში და სხვ.

საქართველოში იგი აკლიმატიზებულია მრა-
ვალ ადგილას, როგორც დასავლეთში, ისე აღმო-
სავლეთში. გამბუზია დიდი რაოდენობით ანადგუ-
რებს კოლოს მატლებს. რასაც საგრძნობი მნიშვნე-
ლობა აქვს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქ-
მეში.

გამბუზია ცოცხლადმშობი თევზია. მისი მაკეო-
ბა 3-6 კვირამდე გრძელდება, თითო ჯერზე შობს
20-დე ლიფსიტას. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს
3-6 თვის ასაკში.

184. პილილია (Poecilia vivipara)



პეცილია გავრცელებულია ბრაზილიაში.

პეცილიას სხეულის შუა ნაწილზე მოეპოვება მოზრდილი დიდი შავი ხალი. მამალს სხეულის შუა ნაწილის უკან ემჩნევა განივი პრიალა ზოლები. დედლის შეფერადება რამოდენიმედ ერთფეროვანია.

პეცილია ცოცხლადმშობი თევზია. მისი მაკეობა 3-6 კვირამდე აღწევს, ხოლო სქესობრივ სიმწიფეს 3-6 თვის ასაკში.

იკვებება დაფუნიებით, ციკლოპებით. ზოოპარკის პირობებში გარდა ამისა ეძლევა წვრილად დაკეპილი ხორცი.

135. გუპია (Lebistes reticulatus)

გუპია გავრცელებულია დასავლეთ ინდოეთში.

გუპია ცოცხლადმშობი თევზია. მისი მაკეობა 3-6 კვირამდე აღწევს.

ცხოვრების ნირი, შენახვის პირობები და საკვების შემადგენლობა ისეთივეა, როგორიც პეცილიისა.

136. ჰელერის ჩსიცოვორუსი (Xiphophorus helleri)

ჰელერის ქსიფოფორუსი გავრცელებულია სამხრეთ მექსიკაში.

ჰელერის ქსიფოფორუსს სხეულის მთელ ნიშანის ძეგლების გასდევს მუქი წითელი ფერის ზოლი. მაგრამ ზურგის ფარფლი მოყვითალო—ვარდისფერია, რომელზედაც რამდენიმე ხალებიანი ზოლი მოეპოვება. მდედრის შეფერადება რამდენიმედ უფრო ბაკია.

ჰელერის ქსიფოფორუსი ცოცხლადმშობი თევზია. მისი შენახვის პირობები, ცხოვრების ნირი, საჭვების შემადგენლობა ისეთივეა, როგორც პეცილიისა.

ჰელერის ქსიფოფორუსის ზოგიერთი სხვა სახეობის თევზთან (მაგალითად გვარი *Platy*-ს წარმომადგენლებთან) ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებულია წითელი, მარმარილოსებრი, შავი და სხვ. სახის ქსიფოფორუსები.

137. ჭითალი ქსიფოფორუსი (*Xiphophorus rubra*)

წითელი ქსიფოფორუსი ხელოვნურად მიღებულია ჰელერის ქსიფოფორუსისა და წითელი პლატის (*Platy rubra*) შეჯვარების შედეგად.

ცხოვრების ნირი და შენახვის პირობები ისეთივეა, როგორც ჰელერის ქსიფოფორუსისა.

138. შავი ქსიფოფორუსი (Xiphophorus nigra)



შავი ქსიფოფორუსი ხელოვნურადაა მიღებული ჰელერის ქსიფოფორუსისა და შავი პლატის (Platy nigra) შეჯვარების შედეგად.

ცხოვრების ნირი და შენახვის პირობები ისე-თივეა, როგორიც ჰელერის ქსიფოფორუსისა.

139. ოქროუვერი ქსიფოფორუსი (Xiphophorus immaculatus)

ოქროსფერი ქსიფოფორუსი ხელოვნურადაა მიღებული ჰელერის ქსიფოფორუსისა და ხალებიანი პლატის (Platy immaculatus) შეჯვარების შედეგად.

ცხოვრების ნირი და შენახვის პირობები ისე-თივეა, როგორიც ჰელერის ქსიფოფორუსისა.

140. მაკროპოდი (Macropodus opercularis)

მაკროპოდი გავრცელებულია ჩინეთსა და ინდო-ჩინეთში.

მაკროპოდს გვერდებზე გასდევს მორიგეობით წითელი და ლურჯი ზოლები, შეფერადება მით უფრო მკვეთრია, რამდენადაც უფრო თბილია წყალი. გამრავლების პერიოდში, როდესც წყლის

ტემპერატურა 25-28°C აღწევს, იგი შეტად, მკვეთრ /
ჟერალაა ხოლმე შეფერადებული.

ქვირითის დაყრის წინ მამალი თავისი ნერ-
წყვით აკოშიშებს წყალმცენარეებს და ამნაირად
მეტად მარტივ „ბუდეს“ იშენებს, რომელშიც დე-
დალი დებს კვერცხებს, რომელთაგან ლიფსიტები
24 საათის შემდეგ იჩეკებიან. მამალი „ბუდეში“
მყოფ კვერცხებს ლიფსიტების გამოჩეკვამდე ჰყა-
რაულობს.

მაკროპოდს აკვარიუმში ჰყვებავენ დაფნიებით,
ციკლოპებით, წვრილად დაკეპილი ხორცით.

141. ბურამი (Osphrenemus goramy)

გურამი ფართოდაა გავრცელებული ინდოეთ-
ში, ინდო-ჩინეთსა და ზონდის კუნძულებზე.

სხეული ვერცხლისფერი შეფერადებისაა, რო-
მელსაც ლურჯი ელფერი გადაჰქრავს. სხეული და-
ფარულია განივი მოლურჯო ზოლებით. გვერდებზე
აქვს ორი ორი მუქი ხალი, რომელთაგან ერთი
სხეულის შუა ნაწილშია, ხოლო მეორე კუდის გან-
ყოფილებაში.

„ბუდეს“ იშენებს იმგვარსავე, როგორსაც მაკ-
როპოდი.

ცხოვრების ნირი, შენახვის პირობები, საკვების
შემადგენლობა ისეთივეა, როგორიც მაკროპოდისა.

142. ციხლოზომა (Cichlosoma nigrofasciatum)

ციხლოზომა გაერცელებულია ბრაზილიაში.

ამ თევზის მთელი სხეული დაფარულია მრავალ-რიცხოვანი წვრილი ხალებით, რომელთა შეფერა-დების ინტენსიონა განსხვავებულია წლის დროის მიხედვით.

ციხლოზომა წლის განმავლობაში 10-12 ჯერ მრავლდება. თითო ჯერზე დებს 100-200 კვერცხს. ლიფსიტები იჩეკებიან 4-5 დღის შემდეგ.

ციხლოზომას საკვებად ეძლევა დაფნიები, ციკ-ლოპები, ჭიები, წვრილად დაკეპილი ხორცი.

143. ბადის – ბადისი (Badis badis)

ბადის-ბადისს სხვაგვარად „თევზ ქამელეონსაც“ უწოდებენ, რადგან იგი ადვილად იცვლის შეფე-რადებას.

ბადის-ბადისი გავრცელებულია ინდოეთში.

სხეული საკმაოდ მაღალია, ძლიერ შევიწროე-ბულია გვერდებიდან, ამობურცულია ზურგის მხა-რეზე. თავი დიდი ზომისაა. კუდი გრძელი აქვს. მრავლდება იანვრიდან სექტემბრამდე.

ცხოვრების ნირი, შენახვის პირობები და საკვი-ბის შემადგენლობა ისეთივეა, როგორიც ციხლო-ზომასი.

ლ 0 ტ მ ჩ ა ტ ჭ ხ ხ

1. А. Брем, Жизнь животных, т.т. I-VII. С. Петербург, 1893—1895.
2. Е. Бихнер, Млекопитающие. С. Петербург, 1902.
3. Н. Я. Динник, Звери Кавказа, т I, II. Тифлис, 1914.
4. М. А. Мензбир, Птицы России, т.т. I, II. Москва, 1899.
5. М. А. Мензбир, Птицы, С. Петербург, 1902.
6. А. Никольский, Гады и рыбы, С. Петербург, 1902.
7. А. Никольский, Герпетология Кавказа. Тифлис, 1913.
8. С. И. Огнев, Звери восточной Европы и Северной Азии (Звери СССР и прилежащих стран), т.т. I—V. Москва, 1928—1947.
9. К. А. Сатунин, Млекопитающие Кавказского Края, т. I. Тифлис, 1915.
10. ა რ ჩ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ძ უ ძ უ მ შ თ ვ რ ე ბ ი . თ ბ ი ლ ი ს ი , 1948.
11. ა რ ჩ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი . თ ბ ი ლ ი ს ი , 1948.
12. ა რ ჩ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ლ ე ბ ი . თ ბ ი ლ ი ს ი , 1948.

సాహిత్యమార్గ

	83.
షించాసిట్యుగాంబా	3
1. డాల్ఫిన్స్ ట్రైన్‌స్ జెంస్‌పి	5
2. జెంస్‌పి ట్రైన్	7
3. షించాట్రా ట్రైన్	9
4. ట్రార్టి	9
5. ట్రార్టిస్ ల్యాప్	10
6. షించాట్రా ప్రెస్‌గార్డి	12
7. అంబ్రేరింగ్	12
8. శేబ్ది	14
9. గెంచ్	15
10. కాంబ్	16
11. నిష్టంగాట్	18
12. క్షూరప్రిక్టి	20
13. సాంగా	21
14. ష్ట్రేల్పి	23
15. కాప్కాసిపిస్ ట్రైమిటి	25
16. ప్రింటిమిటి ట్రైమిటి	27
17. కొట్టింగ్ ట్రైమిటి ట్రైమిటి	28
18. ట్రైమిల్చాల్పి	29
19. గార్ట్రోష్టాల్పి ట్రైమిటి	31
20. షించాట్రా ట్రైమిటి	32
21. కెంపి	33
22. శ్యథ్రా	33

23. ზებროიდი	37
24. აქლემი	39
25. ინდოეთის სპილო	41
26. ლომი	42
27. ლეშიანის კატა	45
28. ჩვეულებრივი ფოცხვერი	45
29. კავკასიის ფოცხვერი	47
30. ამიერკავკასიის მაჩვი	49
31. კავკასიის თეთრყველა ჭვერნა	50
32. კავკასიის ტყის კვერნა	53
33. სიასამური	55
34. ამერიკის წაულა	56
35. წავი	58
36. კავკასიის მგელი	59
37. ტურა	61
38. ამიერკავკასიის მთის მელა	62
39. ამიერკავკასიის ეელის მელა	63
40. მოშავო ვერცხლისფერი მელა	64
41. ენოტისმსგავსი ძაღლი	65
42. დინგო	66
43. მურა დათვი	67
44. კავკასიის მურა დათვი	68
45. ჰიმალაის დათვი	69
46. თეთრი დათვი	70
47. მაჩებლარბი	70
48. ზღვის გოჭი	71
49. შინაური კროლიკი	72
50. ამიერკავკასიის კურდღლელი	73
51. ნუტრია	74

52. რეზუსი	72
53. ლაპუნდერი	74
54. ჰამაფრილი	76
55. კაპუცინი	78
56. არარაუნა	79
57. ამაზონის თუთიყუში	81
58. დიდი ყვითელქოჩირა კაკადუ	81
59. საყელოიანი თუთიყუში	83
60. ხუჭუჭა თუთიყუში	84
61. თვალშეყეტია	85
62. მელოტა	86
63. ხონტქრის ქათამი	87
64. კავკასიის კაკაბი	88
65. მწყერი	89
66. კავკასიის ხოხობი	89
67. კავკასიის შურთხი	90
68. ფარშავანგი	91
69. ციცარი	92
70. გარეული მტრედი	92
71. შინაური მტრედი	93
72. გვრიტი	94
73. გარეული იხვი	94
74. წითელი იხვი	95
75. კუდსადგისა იხვი	97
76. მუშკიანი იხვი	97
77. პეკინის იხვი	99
78. მომღერალი გვდი	99
79. წითელნისკარტა გვდი	100
80. შავი გვდი	102

81. გარეული ბატი	105
82. თეთრშუბლა ბატი	105
83. წითელჩიჩახვა ბატი	105
84. თეთრი ყარყატი	106
85. ღამის ყანჩა	108
86. მცირე თეთრი ყანჩა	109
87. დიდი თეთრი ყანჩა	110
88. ქარცი ყანჩა	110
89. რუხი ყანჩა	111
90. წყლის ბუღა	113
91. ივეოსი	113
92. წეროტურფა	114
93. მცირე ჩვამა	115
94. ფსოვი	117
95. მთის არწივი	118
96. ველის არწივი	120
97. ბეგობის არწივი	121
98. დიდი ქვეარწივი	122
99. მცირე კაკაჩა	122
100. ძერა	123
101. ფასკუნჯი	124
102. სვავი	125
103. ორბი	126
104. ჭოტი	128
105. კაჭკაჭი	129
106. მთიულა	130
107. ჭივჭავი	131
108. ჩიტბატონა	131
109. მწვანულა	132
111. თბილისის ზოოპარკი	161

110. ემუ	136
111. ალიგატორი	136
112. კაგვასიის კუ	137
113. კასპიის კუ	139
114. ჭაობის კუ	139
115. კაგვასიის ჯოჯო	140
116. გველხოკერა	141
117. ჩვეულებრივი ანკარა	142
118. წყლის ანკარა	143
119. ტბის ბაყაყი	143
120. სავარცხლიანი ტრიტონი	144
121. მცირე აზიის ტრიტონი	144
122. აქსოლოტლი	145
123. ოქროს თევზი	145
124. კომეტა	146
125. კუდლეჩაქა	146
126. ტელესკოპი	147
127. ნურია	148
128. ბარბუსი	148
129. დანიო რერიო	149
130. ტეტრაგონოპტერუსი	149
131. ტეტრა-ფონ-რიო	150
132. ხალიანი ჰირარდინუსი	150
133. გამბუზია	151
134. ჰეცილია	152
135. გუპია	152
136. ჰელერის ქსიფოფორუსი	153
137. წითელი ქსიფოფორუსი	153

138. ଶାଙ୍କି ଶ୍ରୀମତୀ ପରୀକୁମାରୀ	154
139. ଅନ୍ଧରାଜୀବିନୀ ଶ୍ରୀମତୀ ପରୀକୁମାରୀ	154
140. ମାତ୍ରାମତୀ	154
141. ଗୁରୁମତୀ	155
142. ଉତ୍ତରାଜୀବିନୀ	156
143. ଦାନ୍ତିମାନ-ଦାନ୍ତିମାନ	156
ଲୋକପ୍ରକାଶନ ପରୀକୁମାରୀ	157



3/მ რედაქტორი დოც. ლ. ე. კუთუმბიძე

გადაეცა წარმოებას 1948 წ. 29/IX. შეღმოშვერილია დასაბუჭი-
დათ 1948 წ. 28/X. შეინის ანაწყობის ზომა $4\frac{1}{2} \times 6\frac{1}{2}$. სავტო-
ფორმათა რაოდ. 4. სასტამბო ფორმათა რაოდენობა $10\frac{1}{4}$.

შეკვეთა № 1407 ტირაჟი 2000 უე 15728.

პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეფასი 6 გან.



АРЧ. ДЖАНАШВИЛИ

ТБИЛИССКИЙ ЗООПАРК
(путеводитель)
(на грузинском языке).

Издание Тбилисского зоопарка

Тбилиси

1948